ახალი განათლება

2011 წელი, 3-9 მარტი

ფასი 1 ლარი

№9 (522) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

ფოტოქრონიკით მოთხრობილი „წითელი ისტორია“

8 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაარსებიდან 93 წლის იუბილე „წითელი ისტორიის“ ფოტოგამოფენით აღნიშნა. პირველად იხილა საზოგადოებამ გასული საუკუნის წითელი ისტორიის ამსახველი ფოტოქრონიკა, დოკუმენტური მასალა, რომელიც უნივერსიტეტის მიერ განვლილ მძიმე და რთულ გზას ასახავს.

გამოფენა შსს-ს საარქივო სამმართველოსა და უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტია.

გვერდი 3

აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

გთავაზობთ შესწორებას აბიტურიენტთა ცნობარში, რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ გამოქვეყნებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

„საზღვაო სასწავლო ცენტრი ანრი“ (ქ. ბათუმი)
პროგრამა 1560101 – დაფინანსება 100%; 70%; 50%; 30%.
პროგრამა 1560201 – დაფინანსება მხოლოდ 100%.
პროგრამა 1560301 – დაფინანსება მხოლოდ 100%.

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
პროგრამა 1310201 – *„საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობა და ექსპლუატაცია“* ნაცვლად, უნდა იყოს *„აეროპორტების აეროდრომებისა და გზების მშენებლობა და ექსპლუატაცია“*.

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი
პროგრამა 1400101 – *„საზღვაო მეცნიერებათა ბაკალავრი“* ნაცვლად, უნდა იყოს *„საზღვაოსნო მეცნიერებათა ბაკალავრი“*.

საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი
პროგრამა 0050601 – დაფინანსება 100%; 70%; 50%; 30%.

კავკასიის უნივერსიტეტი
პროგრამა 1220701 – ადგილების ქვოტა – ისტორია – 10
ლიტერატურა – 20;
პროგრამა 1220801 – ადგილების ქვოტა – ისტორია – 10
ლიტერატურა – 20.

„ახალი განათლების“ წიგნის თაროს ხელმომწერთა საყურადღებოდ!

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების“ და საყმაწვილო ენციკლოპედიის „რა არის რა“ ხელმოწერის საფასურის გადმორიცხვის გაიოლების მიზნით, გთავაზობთ თანხის გადმორიცხვას „ლიბერთი ბანკის“ შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735
ს/ს „ლიბერთი ბანკი“
ბ/კ LBRTGE22
ა/ა GE93LB0113314052305000

დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისა და მასწავლებლების საყურადღებოდ!

ძვირფასო მეგობრებო! მოახლოვდა საატესტატო გამოცდები, რომლებიც დიდი პასუხისმგებლობის წინაშე გაყენებთ როგორც პედაგოგებს, ისე დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს. დრო რომ დაზოგოთ და შრომა შეიმსუბუქოთ, ანუ საატესტატო პროგრამის გამეორებისათვის წინა კლასების სახელმძღვანელოების მოძიება და მათი დამუშავება არ დაგჭირდეთ, **გამომცემლობა „დიოგენემ“** მოგიმზადათ საჩუქარი: გამოიცა რამდენიმე დამხმარე სახელმძღვანელო, რომლებიც საატესტატო საგამოცდო პროგრამის მიხედვითაა შედგენილი და მოკლედ, მაგრამ ამომწურავად ხსნის თითოეულ პროგრამულ საკითხს. ეს სახელმძღვანელოები მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ნებისმიერ მოსწავლეს: ძლიერებს – საგნის გამეორებაში, სუსტებს კი – მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვაში.

ახლა კი რამდენიმე სიტყვა თითოეული სახელმძღვანელოს შესახებ:



საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია. XI-XII კლასები
კონსპექტი საატესტატო გამოცდისათვის და ტესტები
ავტორი – **ბესიკ ლორთქიფანიძე**

მომავალი გამოცდისათვის მომზადების პროცესში მოსალოდნელი ყველა სირთულის გათვალისწინებით ავტორმა შეადგინა კომპაქტური სახელმძღვანელო (კონსპექტი), რომლის შინაარსი თანმიმდევრულად მიჰყვება საატესტატო პროგრამას. კონსპექტი 39 პარაგრაფისაგან შედგება. პროგრამული საკითხების იოლად მოსაძებნად თითოეული პარაგრაფი პროგრამის შესაბამისი პუნქტის მიხედვითაა დასათაურებული.

კონსპექტს მოსდევს ტესტური დავალებების კრებული, რომელიც სრულად ასახავს პროგრამულ მასალას. ეს ტესტები, ერთი მხრივ, მოსწავლეს მისცემს საშუალებას, ობიექტურად შეაფასოს თავისი ცოდნა, მეორე მხრივ კი, დიდ დახმარებას გაუწევს მასწავლებელს მოსწავლის შეფასებაში. ამ თვალსაზრისით, მისი გამოყენება მიზანშეწონილია XI და XII კლასებთან მუშაობის პროცესშიც, მთელი წლის განმავლობაში. ტესტური დავალებები დაყოფილია ბლოკებად (საკონტროლო წერებად). თითოეულ ბლოკში მოცემულია ტესტების 2-2 ვარიანტი. სულ გათვალისწინებულია 10 საკონტროლო წერა (5-5-თითოეულ კლასში). ტესტები დაბეჭდილია სპეციალური ტექნიკით, პერფორირებულ ქაღალდზე, რათა მოსწავლემ თავისუფლად შეძლოს თავისი ნამუშევრის ამოხევა და მასწავლებლისათვის შესამოწმებლად გადაცემა.



საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია
საატესტატო საგამოცდო საკითხების კრებული
ავტორი – **დავით ფერაძე**

ავტორმა გაითვალისწინა, რომ საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიის მინიმალური სტანდარტის შესაბამისი საკითხები ამ ეტაპისთვის გამოცემულ სხვადასხვა კლასის სახელმძღვანელოებშია გაბნეული, თან არასისტემურად და უმთავრესად მხოლოდ წყაროების სახით, ზოგიერთი საკითხი კი საერთოდ არ გვხვდება. ეს კრებული კი აკმაყოფილებს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ 2011 წლის საატესტატო გამოცდების მინიმალური სტანდარტით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას და ფარავს ყველა საკითხს. ამავდროულად, ტექსტი დაწერილია მარტივი და იოლად აღსაქმელი ენით, არც ერთი თემა არ არის ვრცელი და მოსწავლეს შესაძლებლობა აქვს, უმოკლეს დროში, ზედმეტი დროისა და ენერგიის ხარჯვის გარეშე მოემზადოს გამოცდებისთვის.

კრებულს თან ერთვის ტესტური დავალებები.

მართალია, კრებული ძირითადად საატესტატო გამოცდებზე გამსვლელთათვისაა შედგენილი, მაგრამ ის დიდ დახმარებას გაუწევს XI და უფრო დაბალი კლასების მოსწავლეებს (რომლებიც უკვე ემზადებიან საგამოცდოდ), საგნის მასწავლებლებს, აბიტურიენტებსა და საკითხით დაინტერესებულ სხვა პირებს.

ბიოლოგია

კონსპექტი
საატესტატო
გამოცდისათვის

ავტორი
მალხაზ მაყაშვილი

კონსპექტი მცირე მოცულობისაა. ძირითადი პროგრამული მასალა წარმოდგენილია ცხრილების სახით, რაც მაქსიმალურად გააადვილებს ნებისმიერი საკითხის მთლიანობაში აღქმასა და დამახსოვრებას. რაც მთავარია, კონსპექტი შედგენილია საატესტატო პროგრამის ისეთი სპეციფიკური მოთხოვნების გათვალისწინებით, რომელთა დაძლევა მოსწავლისგან განსაკუთრებულ ყურადღებასა და ძალისხმევას მოითხოვს, მაგალითად, ტექსტიდან, ნახატიდან, გრაფიკიდან, სქემიდან, ცხრილიდან და დიაგრამიდან საჭირო ინფორმაციის ამოკრება, მონაცემების აღრიცხვა, დაჯგუფება და წარმოდგენა სხვადასხვა გამომსახველობითი საშუალების (ცხრილების, დიაგრამების, სქემებისა და სხვ.) გამოყენებით, თვალსაჩინოებაზე სტრუქტურების ამოცნობა, თანმიმდევრულად დალაგება და სხვ.

ახალი საგანი

„მოძღვარი“ სპორტის სამსახურში

ჩვენი რუბრიკის დღევანდელ მასპინძლად საერო სკოლა-ლიცეუმი „მოძღვარი“ (დამფუძნებელი – **ნინო კერესელიძე**, დირექტორი – **ხათუნა კერესელიძე**) რამდენიმე მიზეზის გამო შევარჩიეთ – ეს არის კერძო სკოლა, ანუ მისი სპეციფიკა თავისთავად განსხვავდება საჯარო სკოლებისგან; აქ მრავლად სწავლობენ ცნობილ ქართველ სპორტსმენთა (ძირითადად – ფეხბურთელთა) შვილები; სპორტის 3 სავალდებულო სახეობათა შორის სამთო-სათხილამურო სპორტიც აღმოჩნდა. თუმცა, ამ სკოლაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით დედაქალაქის 57-ე საჯარო სკოლასა და ანტუან დე სენტ ეგზიუპერის ქართულ-ფრანგულ კოლეჯს – ორივე კერძო სკოლა 57-ეს შენობაშია განთავსებული და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობს. შესაბამისად, საერთოა ინფრასტრუქტურაც, კადრებიც და... პრობლემებიც. პრობლემები კი საგრძნობია, რადგან სპორტული ბაზების მხრივ არც 57-ე სკოლას ულხინს – მის განკარგულებაშია ორი დახურული დარბაზი და ერთი ღია საფეხბურთო მოედანი, რაც მხოლოდ მისთვისაც კი არასაკმარისია, არათუ ამხელა კონტინგენტისთვის. თანაც, იმ ორი დარბაზიდან ერთი, უფრო პატარა, სარემონტოა და სპორტისთვის გამოუსადეგარი. ამჟამად კი ასუფთავებენ და ცდილობენ, უახლოეს ხანებში მაინც ჩააყენონ სპორტის სამსახურში, მაგრამ ამ ეტაპზე თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს. თანაც, ზომებით პატარაა და დიდი მასშტაბის პრობლემებს ისედაც ვერ გადაჭრის. მეორე დარბაზი შედარებით დიდია და ძირითადი დატვირთვაც მასზე მოდის. მეტ-ნაკლებად გამოსადეგია კალათბურთის, მინი-ფეხბურთის, ფრენბურთის და სხვა იმ სახეობებისთვის, რისი თამაშიც დარბაზშია შესაძლებელი. რაც შეეხება ღია მოედანს, ზომებით ისიც პატარაა და მერიას რამდენჯერმე მიმართეს მისი გადიდების თხოვნით. ერთხელ გადააკეთეს კიდეც, მაგრამ მიმდებარე ფართი კიდევ იძლევა გადიდების საშუალებას და ახლა ამას ცდილობენ. იმედოვნებენ, რომ მიზანსაც მიაღწევენ, თუმცა დღესაც, ამ პირობებში მთავარი დატვირთვა მაინც ამ მოედანზე მოდის.

„მოძღვარში“ სამ სავალდებულო სახეობად არჩეულია: სამთო-სათხილამურო სპორტი, მინი-ფეხბურთი და ტანვარჯიში. ასეთი არჩევანი კადრებმა განაპირობა – ფიზკულტურას, ადრეც, ყოფილი ფეხბურთელი **ვახტანგ ბაქანიძე** ასწავლიდა, სატანვარჯიშო ჯგუფებთან კი აფხაზი ეროვნების ქალბატონი, ყოფილი ტანმოვარჯიშე **ნეონილა აძინბა** მუშაობს. რაც შეეხება ზამთრის სპორტს, ამ სფეროში მჭიდროდ თანამშრომლობენ ბაკურიანის სამთო სკოლასთან. საერთოდ, სპორტის ეს სახეობა ძალზე სპეციფიკურია და საქართველოში მისი განვითარება, ცოტა არ იყოს, ჭირს იმის მიუხედავად, რომ თოვლი და ზამთარი ჩვენთვის ნამდვილად არაა უცხო. სპორტის ზამთრის სახეობები ქვეყნისთვის მაინც ვერ იქცა მასობრივად და პრიორიტეტულად, რაც დიდ შედეგებსაც მოგვიტანდა – ეს თანაბრად ეხება როგორც ღია ბუნებაში (სათხილამურო, სლალომი, ბიათლონი, ციგაობა და სხვ.) ჩასატარებელ, ასევე დარბაზებისთვის განკუთვნილ სახეობებსაც (ფიგურული სრიალი, ჰოკეი და სხვ.). ეს მით უფრო გასაკვირია იმ ფონზე, რომ რელიეფი და კლიმატური პირობებიც ხელს გვიწყობს. ბოლო წლებს თუ არ ჩავთვლით, თოვლის სეზონი ხანგრძლივად გრძელდება, ტრასების მოსაწყობად საჭირო მთები და ფერდობები კი საკმარისზე მეტიცაა. თუმცა, თავად ამ სახეობების სპეციფიკაა იმდენად თავისებური (მხოლოდ ტრასების ან საბაგიროს გაკეთება არ შველის საქმეს, სათანადო ინფრასტრუქტურაც თუ არ გაკეთდა თავისი სასტუმროებითა და კვების ბლოკებით, სამედიცინო-სამაშველო სამსახურებით; ძალიან ბევრია დამოკიდებული კლიმატზე – სეზონური სპორტია), რომ მაღალ დონეზე განვითარება არ ხდება, როგორც სპორტისა.

ამ მხრივ, ბევრად უკეთესი მდგომარეობაა სამოყვარულო დონეზე – სეზონზე ზამთრის კურორტები ხალხითაა სავსე და სათხილამურო ტრასებზეც დიდი მოთხოვნილებაა, მაგრამ ეს პროფესიულ სპორტზე არ აისახება. ამ საქმეს ინფრასტრუქტურის, სათანადო ბაზების არარსებობაც უწყობს ხელს – ძველი ბაზები განადგურდა, ახლის აშენებამდე კი კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის. არადა, ამ სექტორის განვითარება ეკონომიკურად ძალზე მომგებიანია ქვეყნისთვის, რადგან ეს ტურისტთა მოზიდვისა და შემოსავლის წყაროდ შეიძლება იქცეს. სადღეისოდ კი ისეთი ვითარებაა, შემოსავალს ვინ დაეძებს, ზამთრის სახეობებში ჯერ კიდევ მოვარჯიშე თითოოროლა სპორტსმენიც კი ავსტრიის, შვეიცარიისა და იტალიის სამთო კურორტებზე ემზადება შეჯიბრებებისთვის, მოციგურავეები კი – ამერიკასა და ევროპაში.

ცხადია, ასეთ პირობებში ერთ კონკრეტულ სკოლას გაუჭირდება ამ სახეობის განვითარება. მით უფრო, დედაქალაქში არც სათანადო ინფრასტრუქტურაა, მაგრამ გამოსავალს იოლად მიაგნეს – მჭიდროდ თანამშრომლობენ ბაკურიანის სათხილამურო სკოლასთან, სადაც ჩაჰყავთ ბავშვები, ისინი კი ამარაგებენ სპორტული ინვენტარით, კვალიფიციური მწვრთნელებით, რომლებიც პატარებს თხილამურებზე დგომას და თოვლზე სრიალს ასწავლიან. სკოლა მოსწავლეთა ამგვარ მივლინებას მხოლოდ არდადეგებზე ახერხებს, ფინანსურ ხარჯებს კი მშობლები ფარავენ. ამ პროცესში სკოლა მხოლოდ საორგანიზაციო საკითხებს აგვარებს, მაგრამ, ვფიქრობთ, მიდგომა მაინც გამართლებულია – ბავშვები კვალიფიციური მწვრთნელების ხელში ხვდებიან, მშობლებს აღარ უნევთ თუნდაც იმ საორგანიზაციო საკითხებზე ზრუნვა, სუფთა ჰაერზე ყოფნა და თოვლში ვარჯიში კი ბავშვების ჯანმრთელობისთვის მისწრებაა. ზამთრის სახეობების ერთ-ერთი ყველაზე დადებითი თვისება ხომ ისაა, რომ ძალიან კარგია ორგანიზმის გაჯანსაღების, განსაკუთრებით – გულის მუშაობისთვის. ამასთან, ბავშვები პატარაობიდანვე ეზიარებიან სპორტის ამ სახეობას, ანუ თავისთავად ერთვებიან მის პოპულარიზაციაში.

როგორც გითხარით, „მოძღვარში“ სპორტული ოჯახების, ძირითადად კი ფეხბურთელთა შვილები სწავლობენ – **გოგა გახოკიძის** შვილი, **ნოდარ ხიზანიშვილის** შვილიშვილი და **ზურაბ ხიზანიშვილის** ძმისშვილი, **რამაზ შენგელიას** შვილიშვილი და სხვ. ამიტომ გასაკვირი არაა, ფეხბურთი რომ განსაკუთრებით პოპულარულია. ვახტანგ ბაქანიძის მეცადინეობით, სკოლაში ხშირად ტარდება ცნობილ ფეხბურთელთა სახელობის ტურნირები, აქაური მოსწავლეები ხშირად მონაწილეობენ დედაქალაქის მასშტაბით გამართულ სხვადასხვა საფეხბურთო შეჯიბრებებში (სხვა სახეობებშიც). სკოლაში მოქმედებს მინი-ფეხბურთის 3 ასაკობრივი ჯგუფი. ტურნირიდან ტურნირამდე სკოლის მოედანზე ჯგუფები შეჯიბრებებისთვის ემზადებიან, რაც, ძირითადად, შაბათობით ხდება. ოღონდ ესაა მიზანმიმართული მზადება საგანგებოდ იმ შეჯიბრებისთვის, თორემ სკოლაში ვარჯიში და მეცადინეობა არც სხვა დღეებში წყდება.

ასეთი ინტენსიური მიდგომების ფონზე, სკოლას სპორტში წარმატებებიც ბლომად აქვს. სამწუხაროდ, სკოლისთვის პრობლემაა ბურთები და სხვა სახის ინვენტარი. ბურთების პრობლემას ისევ ბავშვები აგვარებენ და სავარჯიშო პროცესი არ ფერხდება, მაგრამ ეს სკოლის ქონება არ არის – მას ამ მხრივ მაინც უჭირს. ასეთივე მდგომარეობაა 57-ე და ფრანგულ სკოლებშიც.

რაც შეეხება ტანვარჯიშულ სახეობებს, მათ ინვენტარისა და დარბაზის პრობლემა არ აწუხებთ. იქნებ უფრო უკეთესი პირობები არ აწყენდათ, მაგრამ სადღეისოდ რაც აქვთ, სავსებით საკმარისია.

ირაკლი თავაძე

ფოტოქრონიკით მოთხრობილი „წითელი ისტორია“

პირველი გვერდიდან

ზურაბ გაიპარაშვილი, თსუ-ს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის დირექტორი, ისტორიის დოქტორი:

– 1918 წლიდან მოყოლებული, ყოველი წლის 26 იანვარს (ახალი სტილით – 8 თებერვალი) უნივერსიტეტი, ამა თუ იმ ფორმით, აღნიშნავს ხოლმე თავის დაბადების დღეს, როდესაც საზეიმოდ გაიხსნა პირველი ქართული უნივერსიტეტი. ყოფილა წლები თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოში, როდესაც ამ დღეს ზეიმით აღნიშნავდა ქართველი ხალხი და, უპირველეს ყოვლისა, სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები; იყო წლები, როცა სტუდენტების ინიციატივით ეს დღე გლოვის დღედ გამოცხადებულა. ეს ის დრო იყო, როდესაც წითელმა არმიამ საქართველოს ოკუპაცია მოახდინა. არსებობს ამის დამადასტურებელი დოკუმეტები – ქართველი სტუდენტების განცხადება, რომ პროტესტის ნიშნად არ აღვნიშნავთ ზეიმით 8 თებერვალს და ამ დღეს გლოვის დღედ ვაცხადებთო.

წლების განმავლობაში უნივერსიტეტმა რა არ გადაიტანა, ისე როგორც ჩვენმა ქვეყანამ. ზოგადად უნივერსიტეტი, გარკვეული თვალსაზრისით, იმ პროცესების სახეა, რომელიც ქვეყანაში მიმდინარეობდა, რადგანაც ეს ყველაფერი აირეკლებოდა უნივერსიტეტის ცხოვრებაზე. შეიძლება ისიც ითქვას, რომ ხშირად უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენები აძლევდა ბიძგს საქართველოში განვითარებულ პროცესებს, იყო ეს კულტურულ-მეცნიერული თუ პოლიტიკური პროცესები. მისი ისტორიაც მე-20 საუკუნის საქართველოში განვითარებული პროცესების კვალდაკვალ იწერებოდა.

წლევანდელი საიუბილეო დღე იმით იყო გამორჩეული, რომ უნივერსიტეტმა, უშიშროების სამინისტროს არქივთან ერთად, მოაწყო შთამბეჭდავი გამოფენა – „წითელი ისტორია“. გამოფენაზე ფრაგმენტულად, მაგრამ მაინც შთამბეჭდავად, იყო წარმოჩენილი ის მძიმე წლები და სისხლიანი მოვლენები, რომელიც გასული საუკუნის პირველ ნახევარში განვითარდა ჩვენს ქვეყანაში და, ბუნებრივია, უნივერსიტეტშიც.

1921 წლის დასაწყისში, როგორც კი საშიშროება რეალური გახდა (როცა საქართველოს წითელი არმია „შემოესია“), უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტობასთან ერთად, დაირაზმნენ სამშობლოს დასაცავად. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო დოკუმენტი – პროფესორთა საბჭოს ოქმის ამონაწერი, რომელსაც ხელს ივანე ჯავახიშვილი და უნივერსიტეტის პროფესორები აწერენ. დოკუმენტში წერია, რომ უნივერსიტეტის კლინიკები, აუდიტორიები ღიაა დაჭრილთა მისაღებად და უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები მზად არიან, სიცოცხლის ფასად დაიცვან საკუთარი სამშობლო. ისიც ცნობილია, რომ ივანე ჯავახიშვილმა სტუდენტებს მოუწოდა სამშობლოს დასაცავად დარაზმულიყვნენ. მიმართვის ეს ფრაზები ისტორიას შემორჩა: მე ახლა თქვენ უნდა მოგიწოდებდეთ, რომ დასხდეთ და ლექციები ისმინოთ, მაგრამ არის დრო, როცა გვერდზე უნდა გადავდოთ საწერი კალამი და წიგნი. როცა სამშობლოს უჭირს, ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ მის დასაცავად.



არქივიდან:

ივანე ჯავახიშვილის წერილი დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმთან არსებულ თავდაცვის კომიტეტს.

„პატივი გვაქვს წერილობით გაცნობოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს დადგენილება მიღებული სასწრაფოდ მოწვეულს საგანგებო სხდომაზე 16 თებერვალს 1921 წელს ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის გამო. რომელიც სიტყვიერად იმავე დღეს მოგახსენეთ:

ა) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, დოცენტები, ლექტორები, ასისტენტები და საზოგადო სამეცნიერო სასწავლო ნაწილის პირადი შემადგენლობის წევრები მზად არიან ყველანი მთელი თავისი ცოდნა, გამოცდილება და სიცოცხლე შესწირონ საფრთხეში მყოფის ძვირფასი სამშობლოს თავისუფლების დაცვის საქმეს და სთხოვონ კომიტეტს, რათა მათი გონებრივი და ფიზიკური ძალა გამოიყენონ ისე, რომ მას საუმჯობესოდ მიაჩნია სამშობლოს დაცვის მიზნებისათვის.

ბ) უნივერსიტეტის სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ლაბორატორიებისა და სამკურნალო ფაკულტეტის კლინიკების კარები ღიაა ომის საჭიროებისათვის“.

ზ.გ.: *როცა 20-იანი წლების ახალგაზრდის მეტაფორული სახე მინდა წარმოვიდგინო, თვალწინ მიდგება მარო მაყაშვილის პორტრეტი – სიფრიფანა მეოცნებე გოგონასი, რომელიც უნივერსიტეტში მოვიდა, რათა ესწავლა ევროპული ენები და შემდეგ თარგმანებით პოპულარიზება გაეწია ქართული კულტურისათვის, მაგრამ, როგორც კი საჭირო გახდა, მედდის ფორმა ჩაიცვა, ხელში აბგა დაიჭირა და ქართველი ახალგაზრდების გვერდით სამშობლოს დასაცავად დადგა. ცნობილია, როგორ იმსხვერპლა ამ მოვლენებმა მისი სიცოცხლე. ის ჩემთვის ქართველი უნივერსიტეტელის, გულანთებული ქართველი ახალგაზრდის სახეა (ალბათ, ჩემნაირად ბევრი ფიქრობს), რომელიც, ერთი მხრივ, უნივერსიტეტში იღებს განათლებას, რათა შემდგომ მიღებული ცოდნა სამშობლოს მოახმაროს და, მეორე მხრივ, მსხვერპლად ეწირება მის დაცვას. მაგრამ „სამშობლოს მცველების“ მცდელობა, სამწუხაროდ, უძლური აღმოჩნდა დიდი მტრის წინაშე და საბჭოთა რეჟიმი დამყარდა. დაიწყო რთული წლები უნივერსიტეტის ცხოვრებაში, თანდათან შემოიჭრა წითელი იდეოლოგია და თუ დეტალურად მივადევნებთ თვალს უნივერსიტეტის ყოველდღიურ ცხოვრებას, დავინახავთ, როგორ შემოდიან ნელ-ნელა ე.წ. „წითელი ახალგაზრდები“ – კომკავშირლები და როგორ ჩნდებიან კომუნისტური იდეოლოგიის მედროშეები პროფესურაში, როგორ იდევნება თანდათან ნამდვილი ფასეულობა, ჭეშმარიტი ეროვნულობა, მეცნიერული ღირებულებები. ეს ფარული, მაგრამ ძალიან დაძაბული ბრძოლა მაინც კომუნისტების გამარჯვებით მთავრდება.*

ყველა მოვლენას თავისი მეტაფორული სახე ჰყავს, 1924 წლის აჯანყების, რომელსაც ბევრი ახალგაზრდა შეეწირა, სახე ნიკო კეცხოველია – შემდგომში ლეგანდარული რექტორი, მაშინ სტუდენტი, რომელიც ამ ბრძოლებში მონაწილეობდა.

მძიმე 30-იანი წლები, როცა უნივერსიტეტიდან ბევრი ღირსეული ქართველი მეცნიერი გააძევეს, 37 წელი, 40-იანი წლები... ეს საშინელი მოვლენები თითქმის ყოველ ათ წელიწადში მეორდებოდა. მიუხედავად ამ ძნელბედობისა, საშინელი იდეოლოგიური წნეხისა, ნამდვილი, ჭეშმარიტი მეცნიერები მაინც ახერხებდნენ იმ დიდი საინტერესო სამეცნიერო ნაშრომების შექმნას, რომლითაც დღესაც ვამაყობთ. თუნდაც იმის გამო, რომ ისინი დიდი მეცნიერები იყვნენ და შეუცვლელნი, კომუნისტური რეჟიმი მათ განდევნას ვერ ახერხებდა, გამოფენაზე ასეთი დოკუმენტიც იყო გამოფენილი, სადაც პირდაპირ წერია (რა იცოდნენ, რომ ეს წლების შემდეგ გამომზეურდებოდა), რომ წესით გიორგი ახვლედიანი და არნოლდ ჩიქობავა უნივერსიტეტიდან უნდა გავანთავისუფლოთ, მაგრამ ვერ მოვძებნეთ ადამიანები, რომლებიც მათ შეცვლიანო.

არქივიდან:

სკპბ ბოლშევიკთა სახ. უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის სხდომა. 1934 წელი, 21 მაისი. ოქმი №13. უნივერსიტეტის წამყვანი პროფესორების – ა. ჩიქობავას და გ. ახვლედიანის საქმიანობის კრიტიკული განხილვა.

მოისმინეს:

პროფესორი გ. ახვლედიანი, პროფესორი ა. ჩიქობავა არიან ინდოევროპეისტიკის წარმომადგენლები. დღევანდლამდე აშკარად არ უარყვიათ თავისი შეხედულებები. პასიობას იჩენენ მარქსისტული ლენინური ენათმეცნიერებისათვის ბრძოლის საქმეში. ხშირად თავსაც ესხმიან მარქს-ლენინ. ენათმენციერთა მიმდევარ ახალგაზრდა კადრებს.

დაადგინეს:

იმის გამო, რომ სათანადო მარქსისტულ-ლენინური შემცვლელი კადრები არ მოგვეპოვება, ამიტომ პროფ. გ. ახვლედიანი და ა. ჩიქობავა დატოვებულ იქნას სამუშაოზე და გაძლიერდეს მათზე კონტროლი და გაიშალოს ბრძოლა მათი საბოლოო განიარაღებისათვის.

მოისმინეს:

ვ. თოფურია, ინდოევროპეისტიკის წარმომადგენელი, მართალია, აქტიურად არ გამოდის მარქსისტ-ლენინური ენათმეცნიერებისათვის გაშლილი ბრძოლის წინააღმდეგ, მაგრამ ჩიქობავა, ახვლედიანის გავლენით, არავითარ აქტივობას არ იჩენს ახალგაზრდა კადრების მომზადების საქმეში. ცდილობს ინდოევროპიულ ტიპის მიმდევარი ახალგაზრდა კადრების დაწინაურებას. პრაქტიკულ მუშაობაში უფრო ენერგიულია, აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ მუშაობაში.

დაადგინეს:

პარტკომს შესაძლებლად მიაჩნია მისი მუშაობა უნივერსიტეტში, საჭიროა სისტემატიური ყურადღება და ხელისშეწყობა, რომ თოფურიამ დაძლიოს ძველი შეხედულებები და დადგეს მარქს-ლენინურ ენათმენციერების საფუძველზე.

მოისმინეს:

პროფ. ი. ჯავახიშვილი, პროფ. გ. წერეთელი. ისევ ძველ შეხედულებებზე დგანან, კითხულობენ ლექციებს, არ იზიარებენ საბჭოთა უმაღლეს სასწავლებელში მიღებულ სწავლების მეთოდებს, არ აწარმოებენ მიმდინარე აღრიცხვას და სხვ.

დაადგინეს: პარტკომის აზრით, მათი უნივერსიტეტში მუშაობა მიზანშეუწონელია, მაგრამ დღესდღეობით მათი შემცვლელი სათანადო სპეციალისტების უყოლობის გამო, შესაძლებლად იქნას ცნობილი მათი გამოყენება, მით უმეტესად, რომ თავის დარგში დიდი სპეციალისტები არიან.

მოისმინეს:

პროფ. აკ. შანიძე თითქოს არ იზიარებს ჩიქობავა-ახვლედიანის შეხედულებას, მაგრამ ვერც ბედავს ამის სააშკაროზე გამოტანას. როგორც მეცნიერი, ყველგან შეცვლილი იქნება. განირჩევა თავისი მეტად პროდუქტიული შრომით და ყველაზე უფრო ახლოს დგას საბჭოთა ხელისუფლებასთან.

→ 5

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (097)

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისიად კვლავ რჩება, იყოს სამეგრელოს რეგიონში მძლავრი უმაღლესი საგანმანათლებლო ცენტრი. სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური სტრატეგიაა ორიენტაცია სტუდენტისა და პროფესორ-მასწავლებლისთვის აუცილებელ სასწავლო გარემოზე. კერძოდ, უნივერსიტეტის სტრატეგიისა და მისიის ფარგლებში, განახლდა და შეივსო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

დაინერგა და განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამები უმაღლესი და პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონების ცვლილებების გათვალისწინებით. შესაბამისად, გამოცხადდა მიღება ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის პრინციპებით აგებულ უახლეს კურიკულუმებზე, შემდეგ სპეციალობებში:

სამაგისტრო პროგრამებზე

- ბიზნესის ადმინისტრირება;
- საქართველოს ისტორია;
- ქართული ლიტერატურა.

საბაკალავრო პროგრამებზე

- ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი);
- ფარმაცია;
- ქართული ენა და ლიტერატურა;
- ისტორია.

სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა საქართველოს განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრთან თანამშრომლობით, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებებისა და პროფესიული კვალიფიკაციის ჩარჩოს მოთხოვნების დაცვით, შეიმუშავა პროფესიული პროგრამების სტანდარტები. შესაბამისად, სიახლეა სასწავლებლის განაცხადში პროფესიული მიმართულებით. სასწავლო უნივერსიტეტმა გამოაცხადა მიღება ერთიანი ეროვნული გამოცდების გამარტივებული წესით (მხოლოდ ზოგადი უნარებით) **პროფესიული განათლების მეოთხე, მეხუთე საფეხურების შემდეგ სპეციალობებზე:**

კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი), ფარმაცევტის თანაშემწე, კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი, ბუღალტერი, ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტი, ზოოტექნიკოსი, მებოსტნე.

ასევე სასწავლო უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტად რჩება **პირველი, მეორე და მესამე საფეხურების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: დურგალი, შემდუღებელი, ელექტრიკოსი, ვეტერინარული დამუშავების ტექნიკოსი, მემცენარე, ზოოტექნიკოსი, მებოსტნე, კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი, ბუღალტერი, ექთნის თანაშემწე, ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი)**, რომლებზეც მიიღება საშუალო და სრული ზოგადი განათლების მქონე და ნებისმიერი ასაკის მსურველი.

სასწავლო უნივერსიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ჩატარდა მერვე რეგიონული აკადემიური სამიტი TWINING-ის პროექტის ფარგლებში. პროექტი გულისხმობს უნივერსიტეტების შესაძლებლობების გაძლიერებას ბოლონიის პროცესების ფარგლებში, გაზიარებულ იქნა ფრანგული და გერმანული გამოცდილება. უნივერსიტეტმა მიიღო მოწვევა გერმანიაში ევროპის 260 საუკეთესო უნივერსიტეტის რექტორთა კონგრესზე.

სასწავლო უნივერსიტეტში, 2011 წლის იანვრიდან, ხორციელდება პროექტი გაეროს განვითარების პროგრამა გგპ-სა და შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს შორის შეთანხმების საფუძველზე, ადამიანური უსაფრთხოებისა და სოციალური ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში. აღნიშნული ითვალისწინებს მასწავლებლების გადამზადებასა და მცირე საწარმოების შექმნას (ავეჯის ქარხანა, სამზარეულო).

სასწავლებლის სტრატეგიად კვლავ რჩება აგრარული მიმართულების გაძლიერება, ამ მიმართულებით მუშავდება აკადემიური პროგრამები. დღევანდელი დღის მდგომარეობით, სასწავლო უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას პროფესიული განათლების ყველა საფეხურზე.

სასწავლო უნივერსიტეტი თანამშრომლობს რეგიონის საჯარო სკოლებთან, რაც სკოლის ყველა საჭიროების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო, მათ შორის, მასწავლებლის 60-კრედიტიანი და მასწავლებელთა საგნობრივი და პროფესიული გადამზადების პროგრამების შექმნას გულისხმობს.

უმაღლესი სასწავლებლის დასახელება: სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
სასწავლებლის ფაქტობრივი მისამართი: ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14. სენაკი, მშვიდობის ქ. №194
საკონტაქტო პირი (გვარი,სახელი,ტელეფონი,ელ.ფოსტა)ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მოსია ბელა,
ტელ.: 893 94 42 52, mosiabella@yahoo.com
ვებგვერდი www.zssu.ge
ელ.ფოსტა zssuedu@gmail.com
განსაკუთრებული მოთხოვნები

ფაკულტეტების დასახელება (აკადემიური პროგრამები) სპეციალიზაციების მითითებით	სწავლების ენა	კრედიტების რაოდ.	წლიური გადასახადი	ჩასარიცხი კონტინგენტ	ქართ.ენა და ლიტ.	ზოგადი უნარები	უცხოური ენა	მათემატიკა	ისტორია და საზ.მეცნ	მეოგრაფია	ლიტერატურა	ფიზიკა	ქიმია	ბიოლოგია.	შემოქმედებ ითი ტური	პრიორიტეტები
					1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	
ბიზნესის და სამართალმცოდნეობის	ქართული	240	2000	170												
ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)					3	3	3	3	3	3	3					1-4/5/6/7-2-3
								120	20	10	20					
ჰუმანიტარული	ქართული.	240	1750	100												
ფილოლოგია (ქართული ენა და ლიტერატურა), ისტორია					4	2	3	3	3	3	3					1-4/5/6/7-3-2
								10	40	10	40					
ჯანდაცვის	ქართული.	240	2000	80												
ფარმაცია					3	3	3	3	3		3		3	3		1-4/5/7/9/10-2-3
								15	10		15		20	20		

პროფესიული პროგრამების ჩამონათვალი	მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სწავლების ენა	კრედიტების რაოდ.	წლიური გადასახადი	ადგილების რაოდენობა	საფეხური	ზოგადი უნარები
ფარმაცევტის თანაშემწე	ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	ქართ	90	1500	40	V	12
კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი	კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	ქართ	60	1500	40	IV	12
ბუღალტერი	ბუღალტრის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	ქართ	60	1500	40	IV	12
კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი)	კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	ქართ	120	1750	40	V	12
ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტი	ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	ქართ	60	1250	20	IV	12
ზოოტექნიკოსი	ზოოტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	ქართ	60	1000	20	IV	12
მებოსტნე	მებოსტნის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	ქართ	60	1000	20	IV	12

ფოტოქრონიკით მოთხრობილი „წითელი ისტორია“

მესამე გვერდიდან

ზ.გ.: *ამ დოკუმენტში მოხსენიებული პროფესორები ქვეყნისათვის მართლაც ფასდაუდებელი მეცნიერები იყვნენ. ამავე დოკუმენტში მოხსენიებულია აკაკი შანიძეც, ის საოცრად პრინციპული ადამიანი იყო, შეიძლება ითქვას, გმირი. 1936 წელს აკაკი შანიძე, როდესაც ივანე ჯავახიშვილს განკითხვის დღე მოუწყვეს, გამოვიდა და ხმამაღლა განაცხადა: მე არ ვეკუთვნი იმ ადამიანთა რიცხვს, რომელიც დიდი ივანე ჯავახიშვილის კრიტიკით გაიკეთებს კარიერასო. აკაკი შანიძე იყო ის პიროვნება, რომელმაც ექვთიმე თაყაიშვილის დასაფლავების პროცესია (მოგეხსენებათ, ექვთიმე თაყაიშვილი ჩეკისტებმა წამებით მოკლეს და მის დასაფლავებას სულ რამდენიმე კაცი დაესწრო) შეაჩერა უნივერსიტეტის წინ და ხმამაღლა განაცხადა: დიდო ექვთიმე, შენ არ გჭირდება ძეგლი და ყვავილები, შენი ძეგლი ეს წიგნებია, რომელიც მომავალ თაობას დაუტოვეო. გეტყვით იმასაც, რომ აკაკი შანიძეს, მიუხედავად იმისა, რომ დიდი საშიშროების წინაშე იდგა თუნდაც ძმის – მოსე შანიძის გამო (ის უნივერსიტეტელი იყო, სამართალმცოდნე, რომელიც უცხოეთში წავიდა და იქ დარჩა. ასეთი ადამიანების ახლობლებს კი კომუნისტები გააფთრებული ებრძოდნენ), არასოდეს უღალატია თავისი მრწამსისთვის, მეცნიერული სინდისისთვის, არც კოლეგებისთვის, ისევე როგორც აღნიშნულ დოკუმენტში მოხსენიებულ გიორგი ახვლედიანს, არნოლდ ჩიქობავას და ვარლამ თოფურიას.*

უნივერსიტეტის კედლებში ყოველთვის იყო სტუდენტური ძალა, ენერგია, რომელიც რაღაცნაირად ინახავდა ეროვნულ ფასეულობას, დამოუკიდებლობის ფასს, ლტოლვას, რომელიც მათში ნაღვერდალივით ღვიოდა. ზოგისთვის ძნელი შესაგუებელი იყო ცხოვრების საბჭოური წესი, ზოგი ჩუმად ოცნებობდა საქართველოს დამოუკიდებლობაზე, მათგან მცირედი ბედავდა ამის ხმამაღლა გაცხადებას. უმრავლესობა აპოლიტიკური იყო, თუმცა ბევრი მოხვდა ციხეში, საკონცენტრაციო ბანაკებში. მრავალი ცოცხალი ვეღარ დაბრუნდა.

1938 წელს შუა აზიაში გადასახლებული სტუდენტების ერთ ჯგუფს ივანე ჯავახიშვილისათვის წერილი მოუწერია. ეს დოკუმენტი დიდხანს საიდუმლო გრიფით ინახებოდა. წერილი დაწერილია ფანქრით სამ ფურცელზე. თან ახლავს ვინმე „დობრი უზბეკის“ მელნით ნაწერი პატარა წერილი. ფანქრით ნაწერმა წერილმა ივანე ჯავახიშვილამდე მიაღწია. ძალიან საინტერესო ნიუანსებია შემონახული ამ წერილის თაობაზე. სტუდენტებმა წერილი გადასცეს ვინმე „დობრი უზბეკს“, მან უნივერსიტეტში გამოგზავნა, უნივერსიტეტიდან წერილი ივანე ჯავახიშვილს სახლში მიუტანეს. მას, ვინც ცოტა მაინც ერკვევა უშიშროების ხლართებში, დააეჭვებს ამ წერილის მოგზაურობა... შესაძლებელია, აქ ბევრი ისეთი საიდუმლოა ჩადებული, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი მშვენივრად ხვდებოდა, იქნებ ეს მისთვის მოწყობილი პროვოკაციაც იყო. უცნობი დარჩა სტუდენტების ვინაობა, რომლებმაც წერილი გამოუგზავნეს დიდ მეცნიერს. არც ისაა ცნობილი, ბარათი ნამდვილად გადასახლებული და განწირული ახალგაზრდების ხელითაა დაწერილი თუ ივანე ჯავახიშვილისთვის დაგებული ხაფანგი იყო. სამწუხაროდ, ისიც უცნობია, თუ როგორ მოიქცა ივანე ჯავახიშვილი, განაცხადა თუ არა წერილის მიღების შესახებ, შეძლო თუ არა სტუდენტების დახმარება?.. ერთი კი ფაქტია, ივანე ჯავახიშვილს წერილი არ გაუნადგურებია და სახლში ინახავდა, თუნდაც ეს ფაქტი იმ დროს გმირობის ტოლფასი იყო.

დღეს კი, ეს წერილი იმის თვალსაჩინო ნიმუშია, თუ როგორ იტანჯებოდნენ უდანაშაულოდ მაშინდელი სტუდენტები და, უმეტეს შემთხვევაში, სამართალს ვერ პოულობდნენ.

არქივიდან:

ჩვენო უძვირფასესო დიდო პროფესორო, პატივცემულო ივანე!

სალამი შუა აზიის უდაბნოდან!

„პირველად დიდ ბოდიშს ვიხდით თქვენს წინაშე, რომ რამდენიმე წუთი უნდა წაგართვათ თქვენი ძვირფასი დროიდან, მაგრამ იმედი გვაქვს, გვაპატიებთ.

პატივცემულო პროფესორო, ჩვენ ერთმა ჯგუფმა სტუდენტებმა, რომლებიც უმართებულოთ დაგვაპატიმრეს, შემდეგ კი უკანონოთ გადმოგვასახლეს აქეთ, გადავწყვიტეთ მოგვემართნა თქვენთვის და თქვენი საშუალებით ჩვენი სიალალმართლე, სავსებით უდანაშაულობა გვეცნობებია ჩვენი მამისთვის – დიდი სტალინისთვის და მის ერთგულ მოწაფის დიდათ პატივც. ბერიასათვის (ჩვენ აქედან არა ერთხელ გავუგზავნეთ საჩივრები, მაგრამ მთელი 100 პროცენტით ვართ დარწმუნებული, რომ აღნიშნული წერილი მათამდე არ მივიდა, ვიღაც მტერმა უსინდისოთ გადაყლაპა ისინი).

პატივც. პროფესორო, ჩვენი სამშობლოს სიამაყეე, ჩვენ კარგათ გვესმის თქვენი გულის ნადები, თქვენი კეთილშობილება, თქვენი მაღალჰუმანიური გრძნობები და იმიტომა გწერთ.

გვიშველეთ, ვიღუპებით, ბევრი ახალგაზრდა უკვე სამუდამოთ გამოეთხოვა ამ მუხთალ წუთისოფელს, სიკვდილის მომენტში მათ გამხდარ, ათრთოლებულ ტუჩებზე მხოლოდდამხოლოთ ის ეკერა „ჩვენ უდანაშაულო ვიყავით, მუხთალმა მტერმა ჩაგვყარა, გადაეცით დიდ სტალინს, ბერიას, ფ. მახარაძეს, რომ ცამდე ალალმართალი ვიყავით, არასოდეს არ გვიფიქრია სამშობლოს ღალატი და ამ უდაბნოში ვკვდებით როგორც საუკეთესო სამშობლოს ერთგულნი, მშვიდობით ჩვენო მიწაწყალო, მშვიდობით ჩვენო უტკბილესო უნივერსიტეტო, მშვიდობით ჩვენო დაჩაგრულო და გაუბედურებულო მშობლებო. გადაეცით მხურვალე სალამი ჩვენს პროფესორებს, განსაკუთრებით კი დიდ პროფესორს პატივც. ივანე ჯავახიშვილს“...

„აი, პატივც. პროფესორო, ვინა ვართ და რათ ვიტანჯებით ტყუილუბრალოთ, გვიშველეთ, ვინც ჯერ ცოცხალნი ვართ, პირში სულები შეგვრჩა, ვგეგვართ ნამდვილ აკლდამიდან ამოღებულ ჩონჩხებს, გეხვეწებით, გემუდარებით შეგვიბრალეთ. ჩვენ ერთი მუჭა მტვერი ვართ სტალინის ფეხისა, ვკვდებით, ჩვენი თვალით ვხედავთ ხმალ ამოღებულ სიკვდილის აჩრდილს, შიმშილმა, წყურვილმა (ნეტა ერთხელ კიდევ დაგვალევინა ჩვენი სამშობლოს დიდი მდინარის მღვრიე მტკვრის წყალი, ერთხელ მაძღრისად გაგვაძღო ჩვენი ქართული პურით, ერთხელ კიდევ გვაყნოსია ჩვენი სამშობლოს ჰაერი) სიცივემ 45° ყინვებია, ჩვენ კი ტიტვლები ვართ თითქმის აღარც ცხვირპირი შეგვრჩა, აღარც ხელფეხი მთელი სხეული, ეს დაძაბუნებული ჩვენი ლეში, მოძრულია, ჭკვა-გონება დაგვეჩლუნგა, წერა-კითხვა დაგვავიწყდა, წიგნის ასოები რაფერისაა აღარ ვიცით, სულიერათ დაცემული ვართ, არავითარი მიწერ-მოწერის ნებას არ გვაძლევენ ჩვენიანებთან... “

(ამონარიდი წერილიდან)

ზ.გ.: *ეს გამოფენა იყო იმდროინდელი უნივერსიტეტის ყოფის ამსახველი ფრაგმენტები, აქცენტები. მასალები, რომელსაც ასე ღიად სთავაზობს უშიშროების არქივი საზოგადოებას, საუკეთესო საშუალებაა, რომ ისტორიკოსებმა ახლებური თვალით შეხედონ და შეისწავლონ ის მოვლენები.*

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ფოტო, რომელზეც ასახულია სოხუმის მიტინგი. ეს ძალიან სიმპტომატურია, საბჭოური ისტორია თავიდანაა გადასახედი, წლების განმავლობაში იწერებოდა ყალბი ისტორია, ისეთი, როგორიც ხელს აძლევდა კომუნისტურ პარტიას და ხშირად თეთრზე შავს წერდნენ. ვისაც სინდისი ჰქონდა, ტყუილს არ ამბობდა, მაგრამ მას არც სიმართლის თქმის უფლებას აძლევდნენ. აი, თუნდაც ფოტო, რომელზეც სოხუმის მიტინგია ასახული, კაცმა არ იცის, როგორ შემორჩა არქივს, ეს არის დოკუმენტი იმისა, თუ როგორ შეხვდა აფხაზეთის მოსახლეობა გასაბჭოებას. ფოტო ყველაფერზე მეტყველებს, მას არავითარი წერილობითი დოკუმენტი აღარ სჭირდება. თუნდაც ეს ფოტო ჩემი სიტყვების თვალნათელი დადასტურებაა – ისტორიას გადახედვა სჭირდება.

არქივში აღმოვაჩინე, ასევე, ერთი წერილი, რომლის შესახებ დავწერე კიდეც. მოგეხსენებათ, უნივერსიტეტის შენობაში, რომელიც თავის დროზე გიმნაზია იყო, გუმბათის ქვეშ დავით აღმაშენებლის სახელობის სამლოცველო იყო. ივანე ჯავახიშვილს ერთ-ერთ არგუმენტად, რომ უნივერსიტეტი 8 თებერვალს, დავითის ხსენების დღეს, გახსნილიყო, სწორედ ეს მოჰყავდა. რამდენიმე წელი ითმინა კომუნისტურმა რეჟიმმა და ბოლოს კომკავშირული სულისკვეთებით გაჟღენთილმა ახალგაზრდებმა დააყენეს საკითხი, რომ უნივერსიტეტის გუმბათიდან ჯვარი ჩამოეხსნათ. იქვე დადეს პირობა, ჯვარს ისე ჩამოხსნიდნენ, შენობას არ დააზიანებდნენ. ესეც წითელი ისტორიაა, ისტორია, რომელსაც შეულამაზებლად უნდა შევხედოთ.

ერთობლივი პროექტით, რომელზეც შსს-ს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილემ თამარ ბელქანიამ და მე ვიმუშავეთ, ვფიქრობ, მართლაც საინტერესო მასალა წარმოვადგინეთ. იმედია, მას ახალგაზრდები შეისწავლიან და სწორად შეაფასებენ. გამოფენის გახსნის დღეს ჟურნალ „საარქივო მოამბის“ პრეზენტაციაც მოეწყო. ჟურნალის ეს ნომერი მთლიანად დაეთმო ქართველი ინტელიგენციის ბედს საბჭოთა პერიოდში. დიდი ადგილი აქვს დათმობილი შალვა ნუცუბიძეს. მასზე ფილმიც გაკეთდა საარქივო სამსახურის მასალებით, რომლის ჩვენება სწორედ უნივერსიტეტში მოეწყო. ბუნებრივად გაჩნდა აზრი, რომ ჟურნალის წარდგინება უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ ალექსანდრე კვიტაშვილს გაეკეთებინა.

* * *

ექსპოზიციამ მეოცე საუკუნის 20-30-იანი წლების უმძიმესი მოვლენები გააცოცხლა და საიდუმლოებით მოცული დოკუმენტური ფოტო და ხელნაწერი მასალა სამზეოზე გამოიტანა. ეს დოკუმენტური მასალა მეცნიერებს, ისტორიკოსებს, კულტუროლოგებსა და ექსპერტებს შესაძლებლობას მისცემს, ზუსტად აღადგინონ „წითელი ისტორია“. სულისშემძვრელი იყო გისოსებს მიღმა ქართველი პროფესორების ნახვა; სკპბ ბოლშევიკთა სახ. უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის 1934 წლის 21 მაისის სხდომის ჩანაწერი. ოქმი №13. უნივერსიტეტის წამყვანი პროფესორების – ა. ჩიქობავასა და გ. ახვლედიანის საქმიანობის კრიტიკული განხილვა; 1922 წლის ფოტო და დოკუმენტური მასალა, რომელიც მოგვითხრობს, თუ როგორ იცვლება უნივერსიტეტის შენობაზე აღმართული ჯვარი წითელი დროშით; სოხუმის მიტინგი; ბოლშევიკების მიერ დასახჩრებულ, დახოცილ, დახვრეტილ ადამიანთა გვამების ფოტოები; ე.წ „სამეულის“ გადაწყვეტილების ერთი ფურცელი, რომელიც იუწყება, რომ იმ დღეს „სამეულმა“ 500-მდე კაცს გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი; შუა აზიიდან გამოგზავნილი უდანაშაულო სტუდენტთა წერილი – ეს მხოლოდ ფრაგმენტებია იმ „წითელი ისტორიის“, რომელმაც ათასობით ქართველი უდანაშაულოდ იმხვერპლა.

გამოფენა უნივერსიტეტისა და უშიშროების საარქივო სამმართველოს მიერ მომზადდა. გამოფენაზე, ასევე, მოეწყო შსს-ს საარქივო სამმართველოს პერიოდული გამოცემის – ჟურნალ „საარქივო მოამბის“ პრეზენტაცია. ახალი ნომერი უნივერსიტეტის იუბილეს მიეძღვნა და სრულად მოიცავს იმ საიდუმლო დოკუმენტების მიხედვით შედგენილ წერილებს, რომლებიც საუნივერსიტეტო ცხოვრებას ეხება – როგორ დახვრიტეს მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, როგორ მიიყვანეს თვითმკვლელობამდე პაოლო იაშვილი, როგორ მიმდინარეობდა დაკითხვები... მკითხველი შეიტყობს: როგორ ათარგმნინა სტალინმა 1939-40 წლებში შალვა ნუცუბიძეს რუსულად „ვეფხისტყაოსანი“; რატომ დაიწყო რეპრესიები ლავრენტი ბერიას საანგარიშო სიტყვის შემდეგ ქართულ ინტელიგენციაში; რა მექანიზმებით ხდებოდა ადამიანების ფიზიკური და მორალური განადგურება.

იქვე გაიმართა უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებლის – შალვა ნუცუბიძის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმნის ისტორიასა და პოემის მსოფლმხედველობის შესახებ მომზადებული დოკუმენტური ფილმის „დატყვევებული გონ(ერი)“ ჩვენება. ფილმი შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული საქმეების საფუძველზე შეიქმნა.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო, ასევე, რეპრესირებული პროფესორების – შალვა ნუცუბიძის, სიმონ ყაუხჩიშვილის, გრიგოლ წერეთლის, ვუკოლ ბერიძის, გიორგი გეხტმანისა და ვახტანგ კოტეტიშვილის წიგნები.

ეს ჩვენი „წითელი ისტორიაა“, ფოტოქრონიკით მოთხრობილი, პირქუში, მაგრამ შთამბეჭდავი.

ლალი ჯელაძე

საგანმანათლებლო კერა

განათლების კერები მესხეთში

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №8

ნატო ყრუაშვილი
ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
პედაგოგიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის მეცნიერი მუშაკი

XIX საუკუნის II ნახევრის სამცხე-ჯავახეთში, სხვადასხვა საქველმოქმედო საზოგადოების მეშვეობით, ვაჟებისათვის განკუთვნილი ათობით სკოლა იქნა დაფუძნებული. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იმავდროულად, ადგილი ჰქონდა ე.წ. შერეული სკოლების დაფუძნების მცდელობას და მათთან ქალთა საპროფესიონალო განყოფილებების გახსნას. აღნიშნულის დასაბუთებას წარმოადგენს სოფელ ხიზაბავრის მაგალითი. ამ სოფელში, 1881 წლის 21 ნოემბერს, სოფლის მღვდლის ივანე გვარამაძისა და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ხელშეწყობით, გაიხსნა ერთკლასიანი სკოლა ვაჟებისათვის. როგორც მოძიებული მასალებიდან ირკვევა, სულ მალე, ივანე გვარამაძეს განუზრახავს ქალებისათვის ცალკე სკოლის გახსნაც. აღნიშნულის შესახებ ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: „1883 წელს დიდს სიხარულ მწერს, რომ იქნება ხიზაბავრაში ქალების სკოლაც გაგვეხსნა. რადგანაც ჩვენი სოფლის მასწავლებელი ცოლს ირთავს და გვპირდება, რომ ჩემი მეუღლეც ქალებს მიიღებს სკოლაში და ასწავლისო.“ უნდა აღინიშნოს, რომ ივანე გვარამაძის განზრახვა იმ ხანად ვერ განხორციელდა მრავალი ხელშემშლელი მიზეზის გამო. თუმცა ეს საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. XX საუკუნის დასაწყისში გაზეთ „ცნობის ფურცელში“ ვკითხულობთ: ხალხმა მთავრობას მიმართა სკოლის გაორკლასიანებისა და ქალთა განყოფილების დამატების თხოვნით. მთავრობამ ხალხის თხოვნა შეიწყნარა. 1904 წელს ხიზაბავრის ადგილობრივი ერთკლასიანი სკოლა, მღვდლის **მიხეილ ვარძელაშვილის** თანხმობით, გადაეცა ხაზინას და გადაკეთდა ორკლასიანად როგორც ვაჟებისთვის, ასევე, გოგონებისთვის, ხუთი განყოფილებით. მას დაემატა ქალთა საპროფესიონალო (სახელსაქმო) განყოფილებაც, სამი მასწავლებლით და ახალი შენობით. მიხეილ ვარძელაშვილს სტამბოლიდან სპეციალურად მოუწვევია მასწავლებლად ნინო პარმაქსიზაშვილი, რომელიც გოგონებს, წერა-კითხვასთან ერთად, ჭრა-კერვასაც ასწავლიდა. აღნიშნული ფაქტის შესახებ „ცნობის ფურცელი“ მკითხველ საზოგადოებას ატყობინებდა, რომ „მთავრობამ 640 მანეთი გამოყო დამატებითი განყოფილების (ე.ი. ქალთა სახელსაქმო) მასწავლებლის ხელფასისათვის. ზედამხედველი მასწავლებელი წელიწადში 400 მანეთს იღებდა. ხელსაქმის მასწავლებელი ქალი კი – 120 მანეთს.“ მოსწავლე გოგონები იხდიდნენ სწავლის ქირას. „თითოეული მოსწავლე ქალი ვალდებული იყო გადასახადის სახით წელიწადში ნახევარი კოდი ხორბალი და თითო საპალნე შეშა შეეტანა“. დასახელებული განყოფილებისათვის სპეციალურად ააშენეს ახალი შენობა ოთხი ოთახით. ყველაზე დიდი ოთახი განთავსებულ იქნა ხელსაქმის სასწავლებლად, სადაც ორმოცდაათამდე მოსწავლე ქალიშვილი ეტეოდა. დანარჩენი სამი ოთახი მასწავლებელ ქალებს ჰქონდათ საცხოვრებლად გადაცემული.

ამასთანავე, საყურადღებოა ისიც, რომ ეს იყო შერეული სკოლა მაშინ, როდესაც ვლადიმერ გაგუას სამართლიანი შენიშვნით, „რუსეთის უნივერსიტეტებშიც კი ქალებს არ იღებდნენ და უფლებრივად არ იყვნენ გათანაბრებულნი ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები.“ უნდა ითქვას, რომ სოფელ ხიზაბავრაში შერეული სკოლის დაარსება მესხ განმანათლებელთა ძალისხმევა იყო, რაც მათი პედაგოგიური შეხედულებების პროგრესულ დემოკრატიულობაზე მიუთითებს.

XIX საუკუნის II ნახევარში, სამცხე-ჯავახეთში, საქველმოქმედო საზოგადოებებისა და სოფლის საზოგადოებების მიერ, ათობით სკოლა იქნა დაფუძნებული, საზოგადოების ნივთიერი დახმარებითა და სოფლის მოსახლეობის ინიციატივით.

კერძოდ, გასული საუკუნის 70-იან წლებში „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ“ ერთკლასიანი „სახალხო სკოლები“ დააარსა სოფელ საროში, ტოლოშში. ტოლოშის სკოლაში სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის უმრავლესობას მაჰმადიანები შეადგენდნენ. 1894 წელს კი სკოლა ოთხკლასიანად გადაკეთდა.

1875 წელს დაფუძნდა ერთკლასიანი საეკლესიო-სამრევლო სკოლა სოფელ ძველში, სოფელ ქილდაში (ახალქალაქის რაიონი), სადაც ქილდელი ბავშვების გარდა განათლებას იღებდნენ მეზობლად მდებარე სოფლების ბავშვები. ამას იმდენად მასობრივი და სისტემატური ხასიათი ჰქონდა, რომ 1880 წელს ამ სკოლის მზრუნველს – ბ. მუსხელიშვილს თავისივე ხარჯით გაუმართავს „ბავშვების სადგომი, სადაც უცხო სოფლებიდგან იყვანდნენ ბავშვებს სასწავლებლად“.

1881 წელს ერთკლასიანი დაწყებითი სასოფლო სასწავლებლები დაარსდა სოფელ ხერთვისში, ჭობარეთსა და ხიზაბავრაში. თუმცა ხიზაბავრაში სკოლის დაარსების მცდელობას ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ 1875 წელს.

1882 წელს ერთკლასიანი სკოლა გაიხსნა სოფელ უდეშიც, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თაოსნობით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სკოლას დიდი ამაგი დასდო **ივანე ბარიკალაშვილმა,** რომელიც 20 წლის განმავლობაში მუშაობდა მასწავლებლად, მისი ღვაწლი საზოგადოებამ სათანადოდ დააფასა. კერძოდ, 1909 წლის 20 ოქტომბერს ზეიმით აღინიშნა მისი პედაგოგიური მოღვაწეობის 25 წლისთავი ჯერ ახალციხეში, შემდეგ სოფელ უდეში.

1912 წელს ერთკლასიანი სამინისტრო სკოლა გაიხსნა სოფ. არალში. მასწავლებლად დაინიშნა **ალექსანდრე ხითარიშვილი**. აღნიშნული სკოლის დაარსების საკითხი დღის წესრიგში დაყენებულ იქნა ჯერ კიდევ 1909 წელს. სასოფლო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ინსპექტორს ეშუამდგომლა მთავრობასთან სახელმწიფოს ხარჯით ერთკლასიანი სამინისტრო სკოლის გახსნის თაობაზე. სოფელს სკოლის შენობის ასაგებად ერთი დესეტინა მიწა აღუთქვა ახალციხელმა მემამულემ, კერძო ვექილმა დ. ს. ფირალიშვილმა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მეფის რუსეთი, კულტურული განვითარების დონით, მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ევროპის სახელმწიფოებს, არ იყო დაინტერესებული საკუთარი ქვეყნის კულტურული დაწინაურებით. აქედან გამომდინარე, არ ზრუნავდა და ხელს არ უწყობდა არარუსი ხალხის განათლებისა და კულტურის განვითარებას. ბერი ვოსტორგოვი დაუფარავად აცხადებდა: „ჩვენ ქართველების არც განათლება გვინდა, არც ზნეობრივი ამაღლება, არც ქრისტიანობის აღდგენა, მათ შორის სკოლებს თუ ვაარსებთ, მხოლოდ ერთი მიზნით – ყველანი გავარუსოთ“. „გადაგვარების მსწრაფლმზარდი საფრთხე“ შეიგნო განათლებულმა ახალგაზრდობამ და გააძლიერა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა. სამცხე-ჯავახეთში, XIX საუკუნის II ნახევრიდან, ამ ბრძოლას ქართველი კათოლიკეები ივანე გვარამაძის წინამძღოლობით ეწეოდნენ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა ქართული ეროვნული სულის აღდგენა, დაცვა-გაძლიერება. მათი აზრით, ეროვნული სულის დაცვა შესაძლებელი იქნებოდა ქართული ენის დამკვიდრებით ღვთისმსახურების დროს (ე.ი. ეკლესიებში), კულტურისა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში. აუცილებლად მიაჩნდათ ხალხის „გონებრივი სიბნელისაგან“ განთავისუფლება, რაშიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქართული სკოლების გახსნა-გამრავლებას, სტამბების დაარსებას, ქართული სახელმძღვანელოებისა და წიგნების გავრცელებას, თეატრის დაფუძნებას, საერთოდ განათლების შეტანას ხალხში, რაც საუკუნეობით დაბეჩავებული სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებასა და დაცვას უზრუნველყოფდა.

დედა ენის აკრძალვის პირველი ბრძანების გამოქვეყნებისთანავე, ივანე გვარამაძემ თანამემამულეებს შეახსენა, როგორ დიდად განათლებულნიც არ უნდა ყოფილიყვნენ და მრავალი ენის მცოდნენი, თუ მათ მშობლიური ენა საფუძვლიანად არ ექნებოდათ შესწავლილი, სამშობლოს რიგიან სარგებლობას ვერ მოუტანდნენ. მას ყოველი ერის „თავმოყვარეობის დამცველად“ მშობლიური ენა მიაჩნდა.

ივანე გვარამაძე თანამემამულეებისადმი მშობლიური ენის დაცვის აუცილებლობის მოწოდებით არ კმაყოფილდებოდა. საყურადღებოა საქართველოს რუსეთთან შეერთებით მიღებული შედეგების მისეული ანალიზიც: „საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ დაშთა ჩვენი სასულიერობა უმწყემსოდ სხვის ამარა (აქ იგულისხმება ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება. – ნ. ყ.), ნელ-ნელა დაიხურა ჩვენებური მდაბალი აკადემია, სემინარები და სასწავლონი, ხუცურის მაგიერ მოიდგა მაგრა ფეხი სლავიანურმა ლიტურღიამ და ჩვენი მწიგნობრობა, დავითის ტკბილი ქნარი დამტვერიანდა, განიხრწნა და უკუიგდო ნაგავ ნეშიან ყურე კუთხეებში“. ამასთანავე სამართლიანად შენიშნავდა, რომ „უფერულმა თავისუფლებამ“ ქართველ კაცს დააკარგვინა მხნეობა, მამაცობა, დიდიან პატარიანად ყველა დააზარმაცა.

რუსიფიკატორული პოლიტიკით აღშფოთებული ივანე გვარამაძე, ყველასაგან მოურიდებლად, უშიშრად ხმამაღლა მოუწოდებდა თანამემამულეებს: „ნუ გაზრდით შვილებს უცხოთ წესზე მონური სულით. დროა, ქართველებო, გაარჩიოთ მტერი მოყვრისაგან, სტუმრად მოსულთ მასპინძლობის უფლებას ნუ მისცემთ... დროა, აღადგინოთ, დაიცვათ თქვენი ძველთა-ძველი, მდიდარი და საამაყო დედა ენა. ტყუილად კი არ უთქვამთ ვაჟკაცობით სახელგანთქმულ ხიზაბავრელებს:

სამშობლო მისთვის შემრგეა
ვინც დედა-ენა იცისო,
ვინც-არა, აღარც კაცია
არა მწამს მისი ფიციო“.

სწორედ ივანე გვარამაძემ, 1882 წელს, შეადგინა და გამოსცა ისტორიის სახელმძღვანელო „ქართლის ცხოვრება“. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მისი ინიციატივით, დაფუძნდა სკოლები სოფელ ხიზაბავრაში 1881 წელს და 80-იან წლებში, ქალაქ ახალციხეში – იოანე ნათლისმცემლის ეკლესიასთან, ხოლო 1895 წელს, მისი აქტიური მონაწილეობით, ქალაქ ახალციხეში დაარსდა ბიბლიოთეკა.

XIX საუკუნის 80-იან წლებში რუსიფიკატორული პოლიტიკა გაძლიერდა. განათლების სფეროში კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის იანოვსკის აღნიშნული პოლიტიკის ერთგული გამტარებლის, უშუალო ამოცანას წარმოადგენდა ეროვნული კულტურის ყოველგვარი მონაპოვრის, ყოველივე პროგრესულის ჩანასახშივე მოსპობა. ასეთ ვითარებაში, ქართული კულტურის რეაქციის შემოტევისაგან დასაცავად და მისი განვითარების უზრუნველსაყოფად, ქართველმა მოწინავე ინტელიგენციამ საჭიროდ სცნო უფლებამოსილი საზოგადოებრივი ორგანიზაციის შექმნა. ეს იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

მოხსენიებული საზოგადოების გამგეობის, 1879 წლის 10 სექტემბრის დადგენილებით, ი. ალექსი-მესხიშვილი რწმუნებულად გაიგზავნა ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში. მას დაევალა, მაზრის უფროსთან შეთანხმებით, სოფლის მოსახლეობის წახალისება სკოლის გახსნის საქმეში. იაკობ გოგებაშვილმა კი, 1880 წელს, მოითხოვა, რომ ყველა კუთხეს თავისი წარმომადგენელი ჰყოლოდა საზოგადოებაში და ასეთ წევრად შეერჩიათ სპეციალისტი განათლების სფეროდან, რადგან „საქმე მთლად პედაგოგიურიაო“. ასეთ წევრად სამცხე-ჯავახეთში შეირჩა ივანე გვარამაძე. საზოგადოებას, ჯერ კიდევ 1860 წელს აღმოცენებულ, კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებასთან ერთად, დიდი დამსახურება მიუძღვის სამცხე-ჯავახეთში კულტურისა და განათლების განვითარების საქმეში. მათი ინიციატივითა და ნივთიერი დახმარებით, სამხრეთ საქართველოში მრავალი სკოლა გაიხსნა, დაფუძნდა ბიბლიოთეკები. ამრიგად, სამცხე-ჯავახეთში დღეისათვის არსებული ზოგიერთი სკოლის ისტორია თოთხმეტ ათეულ წელს მოიცავს.

სამცხე-ჯავახეთის ცენტრს (ადმინისტრაციულ, სავაჭრო, კულტურულ) ისტორიულად ქალაქი ახალციხე წარმოადგენდა. XIX საუკუნის პირველ ნახევარში განვითარებულმა მოვლენებმა ასახვა ჰპოვა როგორც მხარის, ისე ქალაქის ცხოვრების ყველა სფეროზე. 70-80-იანი წლების მდგომარეობით, არასახარბიელო ვითარება იყო სახალხო განათლების სფეროში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საყურადღებო ცნობებია დაცული საქალაქო სასწავლებლის მასწავლებლის, ვ. ივანოვის ინფორმაციაში, იმ დროის პერიოდიკასა და მიმოწერებში. არსებული მასალებით, ქ. ახალციხეში ფიქსირდება 7 სასწავლებლის არსებობა: 1. ქალაქის ოთხკლასიანი სასწავლებელი; 2. კარაპეტას სომხური სასწავლებელი; 3. ელიზავეტის სახელობის ქალთა სასწავლებელი; 4. რაბათის ქალთა უფასო სკოლა; 5. სომხურ-კათოლიკური სკოლა; 6. კათოლიკური სკოლა; 7. ებრაელთა სასწავლებელი.

1. **საქალაქო ოთხკლასიანი სასწავლებელი**. მეფის ხელისუფლება, რუსიფიკატორული პოლიტიკის მიუხედავად, ზოგჯერ იძულებული ხდებოდა, წასულიყო დათმობაზე – გაეხსნა დაწყებითი სკოლები, რათა დაპყრობილ ხალხში აღეზარდა წვრილი მოხელეები და მათი სახით კოლონიებში დასაყრდენი ძალა ჰყოლოდა. სწორედ ამით აიხსნება 1829 წლის 2 აგვისტოს დებულება, რომლის საფუძველზეც, სამაზრო (საერო) სასწავლებლები დაარსდა ამიერკავკასიის ქალაქებში: თბილისში, ბაქოში, ერევანში, ქუთაისში, გორში, თელავში, სიღნაღში, ახალციხეში და ა.შ. სამაზრო სასწავლებლები ორკლასიან სასწავლებლებს წარმოადგენდნენ, სადაც ისწავლებოდა: საღვთო სჯული, რუსული ენა და რუსული ენის გრამატიკა, ქართული ენა, არითმეტიკა, გეოგრაფია, საკანცელარიო საქმე, სუფთა წერა.

ახალციხის სამაზრო სასწავლებელი გაიხსნა 1831 წლის 1 აგვისტოს. თავდაპირველად მოთავსებული იყო რაბათის ციხეში – აქ არსებული ყოფილი სასწავლებლის (მედრესე) შენობაში. მოსახლეობა „რუსის შკოლას“ უწოდებდა. 1835 წელს სასწავლებელი გადატანილ იქნა ქალაქის ახალ ნაწილში. იმავე წელს გამოცემული დებულების საფუძველზე, გადაკეთდა სამკლასიანად. ამასთანავე, რამდენადაც მოსწავლეთა კონტინგენტს წარმოადგენდნენ ქართველი და სომეხი ბავშვები 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდგომ, თურქეთიდან მოხდა სომეხი ხალხის გადმოსახლება და კომპაქტური ჩასახლება სამცხე-ჯავახეთში, რომლებსაც უჭირდათ რუსულ ენაზე სწავლა, ამიტომ ადგილობრივ ენებზე (ქართული, სომხური, თურქული) მოლაპარაკეთათვის სავალდებულო ენად შემოიღეს დედა ენა, როგორც „აზროვნების იარაღი“ რუსული განათლების მისაღებად. აქედან გამომდინარე, ზემოთ წარმოდგენილ სასწავლო გეგმას, 1835 წელს, ადგილობრივი ენები და ხატვა-ხაზვა დაემატა.

აღნიშნული სასწავლებელი, 1875 წლის 1 ივლისს, გადაკეთდა საქალაქო ოთხკლასიან სასწავლებლად ქართული, სომხური და რუსული განყოფილებებით. I-II კლასები ორგანყოფილებიანი იყო, III-IV კლასები – თითოგანყოფილებიანი, ჰქონდა მოსამზადებელი განყოფილებაც. ე.ი. სწავლების სრული კურსი შვიდწლიანი იყო. სასწავლებელში ისწავლებოდა: საღვთო სჯული, რუსული ენა, არითმეტიკა, გეომეტრია, ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, ფრანგული, ქართული და სომხური ენები, ხაზვა-ხატვა, სიმღერა და ტანვარჯიში. სასწავლებელი მოსწავლეებს პროფესიულ განათლებასაც აძლევდა.

დასასრული შემდეგ ნომერში

კონკურსი

გთავაზობთ ჭანდრის საჯარო სკოლის პედაგოგის **ცირა მეზვრიშვილი-მანიჟაშვილის** მიერ ჩატარებული ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმას, რომელმაც საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის მიერ ორგანიზებულ რესპუბლიკურ კონკურსში „საუკეთესო გაკვეთილი ქართულ ენასა და ლიტერატურაში“ მე-2 საპრიზო ადგილი მოიპოვა.

ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა

მასწავლებლის სახელი, გვარი – ცირა მეზვრიშვილი-მანიჟაშვილი
სკოლა – ჭანდრის საჯარო სკოლა
სწავლების საფეხური – IX კლასი
ინტეგრირებული საგნები – ქართული ლიტერატურა, ფრანგული, გეოგრაფია, საქართველოს ისტორია
მოსწავლეთა რაოდენობა – 28
გაწყვილებული გაკვეთილის თემები:
– მიხეილ ჯავახიშვილის „მიწის ყივილი“ – შეჯამება;
– ქართველი ემიგრანტები.

ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზანდასახული შედეგები, აქტივობის მიზნები

გაკვეთილის მიმდინარეობის პროცესში მოსწავლეები შეძლებენ:
– წარმოაჩინონ სამშობლოდან მოწყვეტილი ადამიანის სევდიანი ისტორია;
– გაერკვნენ იმ ეპოქალურ-ისტორიულ ვითარებაში, რომელიც აიძულებს ადამიანებს, სამშობლოსგან მოშორებით იცხოვრონ;
– მსჯელობისას თავიანთი აზრი დაადასტურონ ფაქტებით;
– გაეცნონ საქართველოს ისტორიის იმ პერიოდს, რომელსაც ქართველი ემიგრანტების სახელები უკავშირდება;
– გაიგონ, როგორ ხდება პერსონაჟთა შეპირისპირება;
– წამოწიონ მტკივნეული საკითხები;
– შეაფასონ სტუდენტის მოქმედება;
– ერთმანეთისგან განსხვავებული აზრის ჩამოყალიბებას;
– ნაწარმოებში მოძებნონ კვანძი, კულმინაცია, კვანძის გახსნა;
– ჯგუფური მუშაობის შემდეგ გაეცნონ ერთმანეთის ესეებს, მოახდინონ პრეზენტაცია, ისწავლონ დადებითი და უარყოფითი ფაქტების დადასტურებით შეფასება და მოსმენის კულტურა;
– პატივი სცენ ამხანაგის აზრს;
– დააკვირდნენ მეტყველების კულტურას;
– მოძებნონ მხატვრული ხერხები;
– გაეცნონ ქართველ ემიგრანტებს, მათ საქმიანობასა და მდგომარეობას;
– გაეცნონ სიტყვა „ემიგრანტის“ მნიშვნელობას;
– დღევანდელ ემიგრანტებთან პარალელების გავლებას;
– იმსჯელონ, რამ გამოიწვია სანდრო კაიშაურის ემიგრანტობა და რა მიზეზით ცხოვრობენ სამშობლოსაგან შორს დღევანდელი ემიგრანტები;
– სიტუაციის შეფასებას, ჰქონდათ თუ არა მათ გამოსავალი არსებული მდგომარეობიდან, წარმოაჩინონ ის ფაქტორები, რომლებიც XXI საუკუნის ქართველ ემიგრანტებს წარმოშობს;
– აუდიტორიის წინაშე წარმოადგინონ სხვადასხვა თვალსაზრისი სადავო და პრობლემურ საკითხებზე, დააკვირდნენ ავტორის ლექსიკას, თხრობის მანერას;
– წარმოაჩინონ რომელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ფაქტორებს უკავშირდება ანდრო კაიშაურის სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრება;
– გაეცნონ საფრანგეთის მდებარეობას, მდინარეებს, ვერსალის სასახლეს, მხატვრობას, კულტურას;
– გაეცნონ საქართველოსა და საფრანგეთის ურთიერთობას;
– მიმოიხილონ ნაწარმოებში ნაჩვენები ადგილი, დრო. შეადარონ საქართველოსა და საფრანგეთის ადათ-წესები;
– მხატრული ლიტერატურის რომელიმე ჟანრში შექმნან ნაწარმოები ემიგრანტის სამშობლოში დაბრუნების შესახებ.

საგანმანათლებლო რესურსები
1. ეროვნული სასწავლო გეგმა;
2. მასწავლებლის წიგნი;
3. IX კლასის სახელმძღვანელო;
4. დაფა-ცარცი;
5. საფრანგეთის რუკა;
6. ისტორიის სახელმძღვანელო;
7. მოსწავლის მიერ დამზადებული გზამკვლევი ანდრო კაიშაურის სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრების შესახებ;
8. ეიფელის კოშკის მაკეტი;
9. ქართველ ემიგრანტთა პორტრეტები.

ინფორმაციის წყაროები
1. თამარ პაპავას „გაბნეული საფლავები“;
2. აკაკი სურგულაძის „ექვთიმე თაყაიშვილი“;
3. ნოე ჟორდანიას „ოჯახში საკითხავი“;
4. ქართველ ქალთა სტენდი – მერი შერვაშიძისა და მელიტა ჩოლოყაშვილის პორტრეტები;
5. გურჯაანელი ემიგრანტ გიორგი ყალაბეგაშვილის ხელნაწერი, საკუთარი ლექსი:
„შენ ვერ გაგათბობს ქვეყანა! სადაც არა ხარ შობილი!
და დაბადების მირონი არ არის შენზედ ცხობილი!
სადაც რო შენი აკვანი არ არის გადარნობილი!
და დედაენა პირველი არ არის შენთვის ცნობილი!“
6. თელაველ ემიგრანტ ალექსანდრე სულხანიშვილის იყალთოში, თეთრი გიორგის ტაძრის ეზოში დაკრძალვის ცერემონიალის ამსახველი სურათები, რომელშიაც მონაწილეობდნენ ჭანდრის სკოლის მოსწავლეები პედაგოგთან ერთად (1991 წელი);
7. გრიგოლ რობაქიძის მნიშვნელოვანი სიტყვა – „ვინატრებდი, მწიფობისას მცხეთაში ვინმე დედაბერი სანთელს დამინთებდეს.“

ტექნიკური საშუალება
1. მუსიკალური ცენტრი;
2. კოდოსკოპი;
3. კომპიუტერი.

გაწყვილებული გაკვეთილის ხანგრძლივობა – 90 წუთი.
მუშაობის ფორმა – ინდივიდუალური, ჯგუფური.
შეფასების ფორმა – განმავითარებელი, განმსაზღვრელი.

გაკვეთილის მსვლელობა:

პირველი გაკვეთილი მიმდინარეობს ქართული ლიტერატურის კაბინეტში. მასწავლებელი აცნობს გაკვეთილების გეგმას:
1 გაკვეთილი – მ. ჯავახიშვილის „მიწის ყივილის“ ანალიზი;
2 გაკვეთილი – ქართველი ემიგრანტები. ტარდება კომპიუტერის კაბინეტში.
შესავალში მასწავლებელი ეხება მწერლის ბიოგრაფიას და ნაწარმოების ძირითად თემას. *(5 წუთი)*
I აქტივობა – ნაწარმოებში ასახული ეპოქა;
II აქტივობა – ინტეგრირება ფრანგულ ენასთან, გეოგრაფიასთან, ისტორიასთან;
III აქტივობა – ჯგუფური მუშაობა;
IV აქტივობა – საუბარი ქართველ ემიგრანტებზე;
V აქტივობა – შეფასება.

I აქტივობა:
მოსწავლეები მსჯელობენ მიხეილ ჯავახიშვილის მოღვაწეობის ეპოქაზე, ფაქტებით ადასტურებენ მაშინდელ პრობლემებს. იყენებენ არგუმენტაციის სხვადასხვა ფორმას. აფასებენ „მიწის ყივილში“ დასმულ პრობლემას, ეპოქის ისტორიული, კულტურული და ლიტერატურული ტრადიციების გათვალისწინებით.
მასწ. – ხომ არ ჩანს ნაწარმოებში ავტორსა და პერსონაჟს შორის მსგავსება?
მასწ. – რა ვიცით მ. ჯავახიშვილის სიცოცხლის ბოლო წლებზე? *(7 წუთი)*
მასწ. – საქართველოს ისტორიის რომელ პერიოდს უკავშირდება ნაწარმოებში დაყენებული საკითხი?
მასწ. – რა მტკივნეული საკითხი დააყენა მ. ჯავახიშვილმა ნაწარმოებში?
მასწ. – ვისაუბროთ პერსონაჟებზე;
მასწ. – გამოვკვეთოთ ქართველი სტუდენტი, მისი ქმედება;
მასწ. – რა იცით XX საუკუნის 30-იანი წლების დიდი რეპრესიების შესახებ?
სავარჯიშო: ნაწარმოებში მოვძებნოთ კვანძი, კულმინაცია, კვანძის გახსნა.

მუსიკალური ცენტრით ვისმენთ ქართულ ხალხურ სიმღერას – „ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავ, ჯერ ანანური მაჩვენე!“ *(13 წუთი)*

II აქტივობა:
მოსწავლე რუკაზე აჩვენებს საფრანგეთს, პარიზს, მსჯელობს ეიფელის კოშკის შესახებ. კომპიუტერით აჩვენებენ ეიფელის კოშკს, მის შემოგარენში არსებულ ტროკადერის ბაღს, ვერსალის სასახლეს და ა.შ.
მოსწავლეები მსჯელობენ საფრანგეთის მუზეუმებზე, ეიფელის კოშკის დაარსებაზე, საუბარია საქართველოსთან ურთიერთობის შესახებ.
რომელმა მოსწავლემ დაამზადა გზამკვლევი კაიშაურის ცხოვრების შესახებ. გაგვაცანი, ისაუბრე, იმსჯელე.
ორი მოსწავლე ფრანგულ ენაზე გაითამაშებს მოკლე ინსცენირებას – სტუდენტისა და სანდრო კაიშაურის გაცნობა.
ფრანგული ენის მასწავლებელი ნინო ნაცვლიშვილი საუბრობს საქართველოსა და საფრანგეთის უძველეს და კულტურულ ურთიერთობებზე. *(9-10 წუთი)*

III აქტივობა:
მიდის ჯგუფური მუშაობა, ერთი ჯგუფი მუშაობს: მოხუცის თვალით დანახული სტუდენტი, მეორე – სტუდენტის თვალით დანახული მოხუცი.
პრეზენტაცია – *10 წუთი.*

IV აქტივობა:
მეორე გაკვეთილი, რომელიც ტარდება კომპიუტერის კაბინეტში, მთლიანად ეთმობა ქართველ ემიგრანტებს. კიდევ ერთხელ ვიხსენებთ სიტყვა ემიგრანტის მნიშვნელობას;
მასწ. – რა იცით ქართველ ემიგრანტებზე?
მასწ. – იცნობთ თუ არა თანამედროვე ემიგრანტებს?
მასწ. – წარმოაჩინეთ თქვენთვის ნაცნობი თანამედროვე ემიგრანტი;
მასწ. – ვინ იყო ექვთიმე თაყაიშვილი, სად და როგორ ცხოვრობდა?
მასწ. – ვინ იყო ნოე ჟორდანია, რა იცით მის შესახებ?
მასწ. – რა გრძნობა გეუფლებათ მათზე საუბრისას?
მასწ. – რა იცით ლევილის შესახებ?
მასწავლებელი გადმოსცემს ქართველ ემიგრანტ გიორგი ყალაბეგაშვილთან შეხვედრას 1984 წლის 4 ნოემბერს და კითხულობს მის ექსპრომტად დაწერილ ლექსს: „შენ ვერ გაგათბობს ქვეყანა...“
მასწავლებელი ყვება და კომპიუტერით გვიჩვენებს სურათებს თელაველი ემიგრანტის – ალექსანდრე სულხანიშვილის იყალთოში, თეთრი გიორგის ეზოში დაკრძალვის შესახებ. (10 წუთი)
ორი მოსწავლე მხატვრულად კითხულობს გივი შაორისპირელის „სავედრებელს“.
(12 წუთი)
მიდის წყვილებს შორის მუშაობა: რა ვიცოდით, რა გავიგეთ, რა გვინდა გავიგოთ.
პრეზენტაცია – *8 წუთი.*
კომპიუტერით ვაჩვენებთ უკვე ნაცნობი ემიგრანტების ფოტოსურათებს:
1. ექვთიმე თაყაიშვილს;
2. ნინო სალიას;
3. ნოე ჟორდანიას;
4. გრიგოლ რობაქიძეს;
5. გიორგი ყალაბეგაშვილს;
6. ალექსანდრე სულხანიშვილს;
7. მერი შერვაშიძეს;
8. მელიტა ჩოლოყაშვილს;
9. ქაქუცა ჩოლოყაშვილს;
10. ქეთევან დედოფალს.
(5 წუთი)

საშინაო დავალება:
დაწერეთ ჩანახატი, ნოველა, მოთხრობა, ესე ქართველი ემიგრანტის მშობლიურ მიწაზე დაბრუნების შესახებ.
წარმოვაჩინოთ ლიდერები ჯგუფებსა და წყვილებს შორის.

შეფასება
პრეზენტაცია:
2 მოსწავლე ფასდება 10 ქულით;
2 მოსწავლე – 8 ქულით.
გაკვეთილში ჩართულობა:
3 მოსწავლე ფასდება 5 ქულით;
2 მოსწავლე – 8 ქულით;
5 მოსწავლე – კომენტარებით.
(7 წუთი)

ინფორმაცია

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმძღვანელოების გრიფის მინიჭების ახალ წესზე მუშაობა დასრულდა. ამ თემასთან დაკავშირებით მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა ბრიფინგი გამართა.

გრიფირების მიზანია სკოლის სახელმძღვანელოების ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობის დადგენა, რამდენად შეესაბამება ეს წიგნები ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, რამდენად გამართულია ისინი შინაარსობრივად, მეთოდურად და ტექნიკურად.

შემუშავდა 2011-2016 წლების ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა. 2011-2012 სასწავლო წელს გეგმის დანერგვა სწავლების დაწყებით საფეხურზე (I-VI კლასები) დაიწყება. ამ ეტაპზე კონკურსი ცხადდება I-VI კლასების სახელმძღვანელოებზე. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს.

სახელმძღვანელოს შეფასება განხორციელდება გრიფირების წესით განსაზღვრული კრიტერიუმებისა და ტექნიკური პარამეტრების მიხედვით. შემუშავდა 40 შინაარსობრივი და 10 ტექნიკური კრიტერიუმი.

კონკრეტული კლასის სახელმძღვანელოების გრიფის მოქმედების ვადა 6 წლით განისაზღვრა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იცვლება ამ კლასის/საფეხურის შესაბამისი საგნის/საგნების სასწავლო გეგმა, რაც უკვე მინიჭებული გრიფის გაუქმების საფუძველია.

დიმიტრი შაშკინის თქმით, მნიშვნელოვანია, რომ ახალი სახელმძღვანელოები როგორც პოლიგრაფიული, ასევე შინაარსობრივი თვალსაზრისით დახვეწილი იქნება. ამასთან, იქნება იაფი, 5 წლის განმავლობაში არ შეიცვლება და მთლიანად საფეხურს დაფარავს, რაც მშობელს მდგრადობის გარანტიას მისცემს. მნიშვნელოვანია ასევე, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახის ყველა ბავშვს სახელმწიფო სახელმძღვანელოებს უფასოდ გადასცემს.

შემუშავდა სახელმძღვანელოს შეფასების კრიტერიუმები სხვადასხვა კომპონენტის მიხედვით, მათ შორის: სახელმძღვანელო შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და ხელს უწყობს მოცემული კლასის/საფეხურის საგნობრივი პროგრამის შედეგების მიღწევას; სახელმძღვანელო დაწერილია თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით; მოსწავლის წიგნი დაწერილია ასაკისთვის შესაფერისი, ადვილად გასაგები ენით; სახელმძღვანელოს შინაარსი (მაგ., ტექსტები, ილუსტრაციები, რუკები, აუდიო მასალა, აქტივობები) ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებს.

წლევანდელი სიახლე: წარმოდგენილ სახელმძღვანელოების სერიაში ყოველი მომდევნო კლასის წიგნი უნდა ეფუძნებოდეს და ავითარებდეს წინას. ასევე განისაზღვრა ტექნიკური პარამეტრები, მათ შორის ფორმატი, ტექსტის სტრიქონის სიგრძე, შიდა მინდვრის მინიმალური ზომა, შრიფტის ზომა და სხვ.

გრიფის მინიჭების პროცედურის ახალი მიდგომებისა და პრინციპების მიხედვით, არსებითად უნდა აღმოიფხვრას ზოგადსაგანმანათლებლო სასკოლო სახელმძღვანელოსთვის გრიფის მინიჭების სფეროში არსებული ხარვეზები, რის შედეგადაც სკოლები და მოსწავლეები უზრუნველყოფილნი იქნებიან ხარისხიანი სახელმძღვანელოებით.

როცა სკოლა ცხოვრებას მიჰყვება

მეოთხეკლასელები დამრიგებელთან, თამარ მედვედევასთან ერთად

ძველი თბილისის ქუჩებს ბავშვების ჟრიამული ავსებს. აქ არიან „ტურისტები“ – მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები. ისინი გორგასლის ძეგლთან შეიკრიბნენ. ექსკურსიამძღოლი – 72-ე სკოლის IV^{ბ} კლასის მოსწავლე **ანა კაზარიანი** თბილისის დაარსების ისტორიას ქართულად უყვება დამსწრეებს:

V საუკუნის ბოლოს მცხეთა დედაქალაქობას უთმობს თბილისს. სატახტო ქალაქად საქართველოს მეფემ ვახტანგ გორგასალმა აქცია. პირველი მოსახლეობა თბილისში იქ გაჩენილა, სადაც დღეს გოგირდის აბანოებია. ქალაქის სახელწოდებაც თბილი წყლისგან წარმოდგება (აქვე ექსკურსიამძღოლი ტურისტებს მოუთხრობს ლეგენდას თბილისის დაარსების შესახებ).

ვახტანგ გორგასალი იყო პოლიტიკური მოღვაწე და სარდალი. გორგასალი (სპარსულად – „მგლისთავი“) იმიტომ შეარქვეს, რომ მუზარადზე მგელი ჰქონდა გამოსახული. იგი მთელი სიცოცხლე იბრძოდა ირანელთა წინააღმდეგ ქვეყნის გაერთიანებისათვის, სიცოცხლეც საქვეყნო საქმეს შესწირა – გარდაიცვალა ბრძოლაში მიღებული ჭრილობებისაგან. საქართველოს დამოუკიდებლობისთვის თავგანწირვამ ლეგენდარულ გმირად აქცია. დასაფლავებულია მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში.

1967 წელს მეტეხის ციხესთან დაიდგა ვახტანგ გორგასლის ძეგლი (მოქანდაკე – ელგუჯა ამაშუკელი).

მეტეხის ხიდიდან გადაჰყურებენ „ტურისტები“ ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვან ძეგლს, ღვთისმშობლის ტაძარს – „მეტეხს“. **რომა არუთინოვი** მის მდიდარ ისტორიაზე მოუთხრობს დარბაზს:

„ტაძრის აგებას ვახტანგ გორგასალს მიაწერენ. 1235 წელს მონღოლებს გადაუწვავთ და 1279-89 წლებში დემეტრე მეორე თავდადებულს აღუდგენია. ჟამთასვლას კვლავ დაუნგრევია ტაძარი და მხოლოდ XVII საუკუნეში აღუდგენია ერეკლე მეორეს. ამჟამად ტაძარი დაცულია, როგორც ისტორიული ძეგლი“.

სინაგოგასთან ექსკურსიამძღოლი **ვალერი ბონდარენკოა**. მას ებრაული ქუდი ახურავს და ყველას ესალმება.

„ეს არის სალოცავი სახლი ებრაელებისათვის. ასეთი სახლები პირველად ეგვიპტეში წარმოიქმნა (ძვ.წ. III ს.). პალესტინაში (ძვ.წ. IV ს.), იერუსალიმის ტაძრის დანგრევის (ახ. წ. 70 წ.) და დიასპორის გაფართოების შემდეგ სინაგოგები იგება ყველგან, სადაც ებრაელები ცხოვრობენ. საქართველო ცნობილია ებრაელ ხალხთან 26-საუკუნოვანი მეგობრობით და თანაცხოვრებით. თბილისში ლესელიძის ქუჩაზე ახლაც იკრიბებიან ებრაელები და ასრულებენ ღვთისმსახურებას, კითხულობენ ბიბლიას და თალმუდს, მართავენ რიტუალურ ტრაპეზებს. პარასკეობით, აქ ებრაელები იკრიბებიან და „შაბათობისთვის“ ემზადებიან.

ასეთი ექსკურსიების ჩატარება იოლი როდია. მისთვის მზადება თბილისის 72-ე სკოლაში ოქტომბრის თვიდან დაიწყეს (დირექტორი – პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი **ნათელა ნატროშვილი**), ღონისძიების ორგანიზატორი IV^{ბ} კლასის ხელმძღვანელი **თამარ მედვედევაა**.

ღონისძიების მომზადებისა და ჩატარების მიზანი ნათელი იყო: ამ სკოლაში 14 ეროვნების მოსწავლე სწავლობს, IV^{ბ} კლასში – 8 ეროვნების. თითოეულ მათგანს უყვარს თბილისი და ეამაყება თბილისელობა. ამან განაპირობა სურვილი და მზაობა, ზედმიწევნით შეესწავლათ თბილისის ძველი უბანი.

ჩატარებულმა გაკვეთილმა დირექტორი, მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები დაარწმუნა მე-IV^{ბ} -კლასელების შრომისმოყვარეობასა და ცოდნაში.

ღია გაკვეთილის მიზანი:

– თბილისის ისტორიაზე, კულტურასა და ტრადიციებზე ცოდნის გაფართოება და გაღრმავება;

– საქართველოს წარმოდგენა ტურისტულად განვითარებულ ქვეყნად;

– კულტურათაშორისი ურთიერთობის გაღრმავება;

– ძველი თბილისის, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტურისტული ობიექტის, ღრმად შესწავლა;

– მოსწავლეთა სოციოკულტურული შეგნების გაფართოება.

გამოყენებული რესურსები

. კონტურული რუკები, კომპიუტერი, ქართული ენციკლოპედია, მოსწავლეთა ჩანახატები და ფოტომასალა, მართლმადიდებელი ეკლესიების, მეჩეთისა და სინაგოგას მაკეტები, ჩანახატები და ფოტოები, ნაციონალური აქსესუარები, ოჯახური რელიქვიები და სხვ.

მარშრუტი: ბარათაშვილის ხიდი, პუშკინის, ვერცხლის, ერეკლეს, ლესელიძის, სიონის, შარდენის ქუჩები, მეტეხის მოედანი, გორგასლის ქუჩა, 72-ე სკოლა.

კლასში 8 ეროვნების 33 მოსწავლეა, მოსწავლეები 4 ჯგუფად დაიყვნენ:

1. „მეტეხელები“;
2. „თბილისელები“;
3. „კრწანისელები“;
4. „ლიტერატურული თბილისი“.

თითოეულ ჯგუფში გაერთიანდნენ: ჟურნალისტები, ექსკურსიამძღოლები, ასისტენტები, მხატვრები, ფოტოგრაფები.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. გაკვეთილის სასწავლო შემეცნებითი ნაწილი;
2. ჟურნალისტთა ნამუშევრების პრეზენტაცია;
3. გაკვეთილის მხატვრულ-შემოქმედებითი და მუსიკალური ნაწილი.

ღია გაკვეთილი ორი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა, საექსკურსიო და ჟურნალისტურ მასალებზე დაყრდნობით, ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

გაკვეთილის სასწავლო-შემეცნებით ნაწილში მოსწავლეებს უნდა დაესახელებინათ მათთვის ცნობილი ქუჩები და ძეგლები, რომლებსაც ძველ უბანში გაეცვნენ.

I. ჟურნალისტთა მიერ მოპოვებული მასალის პრეზენტაციას თან ახლდა ვიდეომასალა:

1. „მეტეხელები“ – „ანჩისხატი“, რუსულ ენაზე – მომხსენებელი **დანიელ სტეპანენკო;**

„ლეგენდა თბილისზე“, ქართულ ენაზე – **ანი მელქონიანი.**

2. „თბილისელები“ – „ჩემი თბილისი“, რუსულ ენაზე – **სავანა ბაგრამოვა**,

„ჩემი თბილისი“, ინგლისურ ენაზე – **ლიზი ხაჩატუროვა**.

3. „კრწანისელები“ – „გორგასლის ქუჩა და ჩემი სკოლა“, რუსულ ენაზე – **მარი ხაჩატუროვა**.

4. „ლიტერატურული თბილისი“ – „რუსი პოეტები თბილისს“ – **ნიკა ჩაიკა, ვალერი ბონდარენკო**.

II. ექსკურსიები ექსკურსიამძღოლებთან ერთად:

1. „მეტეხელები“: მეტეხის ტაძრის ისტორია, რუსულ ენაზე – **რომა არუთინოვი;**

„ვახტანგ გორგასლის ძეგლი“, ინგლისურ ენაზე – **ანი კაზარიანი;**

„აბო თბილელი“, რუსულ ენაზე – **სერჟ საროიანი**.

2. „თბილისელები“: „სიონი“, რუსულ ენაზე – **დევიდ არაქელოვი;**

„ცისფერი მეჩეთი“, ქართულ ენაზე – **ალი ხამედი**;

„თბილისის მეჩეთები“, რუსულ ენაზე – **ოსმან რზაევი**.

3. „კრწანისელები“: „კრწანისის ბრძოლა“, რუსულ ენაზე – **ლენა ფილიპოვა, ვანო აბრამოვი, ნიკიტა ვართანოვი**.

4. „ლიტერატურული თბილისი“ – „სინაგოგა“, ქართულ ენაზე – **ვალერი ბონდარენკო**.

ექსკურსიის ბოლოს ყველამ ერთად შეასრულა რევაზ ლაღიძის „თბილისო“.

მას შემდეგ, რაც თბილისის ძველ უბანში IV^{ბ} კლასმა ექსკურსია მოაწყო და „გამოცდა“ წარმატებით ჩააბარა, სკოლის დირექტორის, ქალბატონ **ნათელა ნატროშვილის** წინადადებით, ექსკურსიები კვლავ გაგრძელდება, „ტურისტები“ კი VII-XII-კლასელები იქნებიან.

როზა ირემაშვილი

იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი, დამსახურებული მასწავლებელი



სერჟ საროიანი

გიორგი ტერ-ოგანეზოვი

რავანა მაგრამოვა

თვალსაზრისი

რეფორმის რეფორმა

ცნობილია, რომ 2000 წელს დაწყებული განათლების რეფორმა, 2004 წლამდე ადგილიდან არ დაძრულა, ამიტომაც შეიქმნა საჭიროება რეფორმის რეფორმისა. „ორმაგი რეფორმის“ დაწყებიდან მასწავლებლის ხელფასი რამდენჯერმე გაიზარდა; მაგრამ, ისიც ხომ ცნობილია, რომ 0-ის 1000-ჯერ გადიდება... ხელფასის ზრდის რეკლამირება ხდებოდა 10-15-20 ლარით, ამიტომ მასწავლებლის ხელფასი საარსებო მინიმუმს დღემდე ვერ აღწევს.

გასული წლის ივლისში ჩატარდა რეფორმის ერთ-ერთი მასშტაბური სახის ღონისძიება – მასწავლებელთა იძულებითი სერტიფიცირება. არადა მასწავლებელი თავად უნდა იყოს დაინტერესებული, მოტივირებული მაღალი ანაზღაურებით, რომლის გარეშე სერტიფიკატი დარჩება მხოლოდ იმუნიტეტად.

სერტიფიცირების დამთავრების შემდეგ განაცხადეს, რომ სერტიფიცირებული მასწავლებელი, ხელფასზე დანამატის სახით, 60 ლარს მიიღებდა. 4 თვის დაგვიანებით მიღებული ეს დანამატი, იმდენად უმნიშვნელოა, იმ ინფლაციასთან, რაც უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში მოხდა, რომ მასწავლებლისათვის მართლაცდა დამამცირებელია. ეტყობა თავადაც შერცხვათ და ერთ აბსურდულ პირობას მეორე მსგავსი პირობა წააშველეს: თუ სერტიფიცირებული მასწავლებელი ჩააბარებს ინგლისურს და კომპიუტერს, მაშინ მისი ჯამაგირი კიდევ 60 ლარით გაიზრდებაო. გამოვიდა ის, რომ მასწავლებელი, რომელიც მუდმივად უნდა იყოს ძიებაში და სრულყოფისაკენ ილტვოდეს, იბრძვის არსებობისათვის.

როცა „სამეცნიერო“ ენა რუსული იყო, მაშინ ყველაზე უკეთ ამ ენას მასწავლებლები ფლობდნენ. საბედნიეროდ, მოხდა ისე, რომ შეიცვალა სისტემა-ორიენტაცია ევროპულისაკენ. რუსული ინგლისურმა ჩაანაცვლა. ამ პირობებში მასწავლებლებს ხელფასის ზრდა კი არ უნდა შევუწყვიტოთ, პირიქით, მივცეთ საშუალება, მოტივაცია, რაც შეიძლება მალე დაეუფლონ ამ საერთაშორისო ენას და თანამედროვე ტექნოლოგიებს. მასწავლებელი, თავისი მწირი ხელფასით, ძნელად თუ მოახერხებს კომპიუტერის შეძენას. დღეს მასწავლებელთა უმრავლესობამ თუ არ იცის ინგლისური და კომპიუტერი, ამაში ბრალი სახელმწიფოს მიუძღვის. თავისი ბრალეულობა მასწავლებლებს კი არ უნდა გადააბრალოს, არამედ გაუზარდოს ხელფასი, რომ მასწავლებლებს ჰქონდეთ მაღალი მოტივაცია პროფესიული სრულყოფისათვის, შეძლონ წარმატებით გაართვან თავი მათ წინაშე მდგარ გამოწვევებს. ამდენად, საქართველოს პედაგოგიურ საზოგადოებას სჭირდება დახმარება და არა მოტყუება.

გასული წლის ზაფხულში საქვეყნოდ გამოაცხადეს, რომ 2010 წელს დასრულდებოდა საქართველოს მოსახლეობის კომპიუტერიზაცია და ამ აქციაში აქტიურად ჩაერთვებოდა ბანკები, დევიზით – „კომპიუტერი ერთ ლარად“. მასწავლებლობას კომპიუტერის შეძენის იმედი მიეცა, მაგრამ ამაოდ. მოგვატყუეს ჩვენ, ევროპა და ამერიკა. მიუხედავად ყველაფრისა, მასწავლებლები დიდი წვალებით დადიან ინგლისურისა და კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე; კარგავენ დროსა და ენერგიას, ასევე, მწირ ბიუჯეტს. ცდილობენ, როგორც ახერხებენ. მაგრამ რა იციან, რომ მათთვის ახალი მახეა დაგებული ე.წ. კატეგორიების სახით; A კატეგორიაში – სერტიფიცირებული მასწავლებლები; B კატეგორიაში – ხარისხდაცულები და წიგნის ავტორები, C კატეგორიაში – კიდევ ვინ იცის ვინ. ჯერ ერთი, სერტიფიცირების შემოღებამ უმაღლესის დიპლომი გააუფასურა, ხოლო კატეგორიებმა – სერტიფიცირება. რა ხდება? ეს ბარიერები იმისთვის ხომ არ არის მოფიქრებული, რომ რაც შეიძლება ცოტას და რაც შეიძლება ცოტა მიეცეს დღეს საზოგადოების ასე დაკნინებულ ნაწილს, რომელსაც მასწავლებლობა ჰქვია.

დემურ კუხალეიშვილი

ზუგდიდი, ჩხორიის საჯარო სკოლის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რექტორის გზავნილი

მოგესალმებით, ძვირფასო მეგობრებო!

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს მრავალწლიანი ისტორია და ტრადიციები აქვს. დასახულია დიდი გეგმები და პროექტები, რომელთა განხორციელებას იმედით შევყურებთ. იმედის საფუძველს ის თანადგომა და მხარდაჭერა გვაძლევს, რომელსაც ხელისუფლებისაგან, ბიზნესმენებისაგან, საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან ვგრძნობთ. ეს არის იმის წინაპირობა, რომ მიზანს ყველანი ერთად მივაღწევთ. ჩვენი უმთავრესი მიზანი კი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი განათლების მიღების უზრუნველყოფაა.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კარი მუდამ ღიაა სტუდენტების ახალი თაობების მისაღებად. ჩვენი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი ძალასა და ენერგიას არ დაიშურებს, რათა კურსდამთავრებულები მომზადებულნი შეხვდნენ დროის მოთხოვნებს და თამამად შეაბიჯონ მომავალში.

გისურვებთ წარმატებებს!

რექტორი, პროფესორი ***ჯონი აფაძიძე***

უნივერსიტეტში სწავლა მიმდინარეობს შვიდ ფაკულტეტზე:

- მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის;
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა;
- ეკონომიკისა და ბიზნესის;
- სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა;
- განათლების;
- იურიდიული.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს ვებგვერდზე :

www.sou.edu.ge

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კოდი:	012
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფაქტიური მისამართი და ტელეფონი	ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას (ყოფილი ჯიქიას) №9, ტელ. 54 14 05
ვებგვერდი	www.sou.edu.ge
ელ.ფოსტა	info@sou.edu.ge
საკონტაქტო პირი (გვარი,სახელი,ტელეფონი,ელ.ფოსტა)	ნესტან კეკელია; 54 14 06; 877 17 07 01 ; nestanikekelia@yahoo.com
სპეციალური პირობები აბიტურიენტებისთვის	
ინფორმაცია წლიური გადასახადის შესაძლო ცვლილების შესახებ	

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	სწავლების ენა	კრედიტების რაოდ.	წლიური გადასახადი	ადგილების რაოდენობა	ზოგადი უნარები	შემოქმედებითი ტური			პრიორიტეტები
					1				
ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა აზერბაიჯანულენოვანთათვის	ქართული	60	2000	23	12				
ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა სომხურენოვანთათვის	ქართული	60	2000	23	12				

ფაკულტეტის აკადემიური პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სწავლების ენა	კრედიტების რაოდ.	წლიური გადასახადი	ადგილების რაოდ.	ქართ. ენა და ლიტ.	ზოგადი უნარები	უცხოური ენა	მათემატიკა	ისტორია	გეოგრაფია	ლიტერატურა	ფიზიკა	ქიმია	ბიოლოგია.	შემოქმედებითი ტური	პრიორიტეტები
						1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	
I. მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი																	
1.		ქართ.	240	1750	60	2	3	2	5								4-2-1-3
მათემატიკა	მათემატიკის ბაკალავრი																
კომპიუტერული ტექნოლოგიები	ინფორმატიკის ბაკალავრი																
2.																	
II. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი																	
1.		ქართ.	240	1750	50	2	4	2	4 (10)		4 (10)		4 (10)	4 (10)	4 (10)		4/6/8/9/10-2-1-3
ფიზიკა	ფიზიკის ბაკალავრი																
ქიმია	ქიმიის ბაკალავრი																
ბიოლოგია	ბიოლოგიის ბაკალავრი																
ეკოლოგია	ეკოლოგიის ბაკალავრი																
ფიზიკური გეოგრაფია	გეოგრაფიის ბაკალავრი																
ბიოსამედიცინო ინჟინერია	ინჟინერიის ბაკალავრი																
2.		ქართ.	240	2000	20	2	4	2						4 (10)	4 (10)		9/10-2-1-3
ფარმაცია	ფარმაციის ბაკალავრი																
III. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი																	
1.		ქართ.	240	1750	90	4	2	3		3 (30)		3 (60)					1-3-5/7-2
ქართული ფილოლოგია	ფილოლოგიის ბაკალავრი																
აფხაზური ფილოლოგია	ფილოლოგიის ბაკალავრი																
ინგლისური ფილოლოგია	ფილოლოგიის ბაკალავრი																
გერმანული ფილოლოგია	ფილოლოგიის ბაკალავრი																
ფრანგული ფილოლოგია	ფილოლოგიის ბაკალავრი																
სლავური ფილოლოგია	ფილოლოგიის ბაკალავრი																
არქეოლოგია	არქეოლოგიის ბაკალავრი																
ისტორია	ისტორიის ბაკალავრი																
თურქოლოგია	რეგიონმცოდნეობის ბაკალავრი																
2.																	
IV. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი																	
1.		ქართ.	240	2000	45	3	3	3		3							1-3-5-2
სოციოლოგია	სოციოლოგიის ბაკალავრი																
ფსიქოლოგია	ფსიქოლოგიის ბაკალავრი																
პოლიტიკური მეცნიერებები	პოლიტიკის მეცნიერებების ბაკალავრი																
2.		ქართ.	240	2000	15	3	3	3		3							1-3-5-2
საერთაშორისო ურთიერთობები	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი																
V. განათლების ფაკულტეტი																	
1.		ქართ.	240	1750	60	3	3	3		3 (40)		3 (20)					1-2-3-5/7
დაწყებითი განათლება	განათლების ბაკალავრი																
სკოლამდელი აღზრდა	განათლების ბაკალავრი																
კორექციული პედაგოგიკა	განათლების ბაკალავრი																
2.																	
VI. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი																	
1.		ქართ.	240	2000	10	2	4	2	4								4-2-1-3
ეკონომიკა	ეკონომიკის ბაკალავრი																
2.		ქართ.	240	2250	50	2	4	2	4								4-2-1-3
ბიზნესი და მართვა	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი																
VII. იურიდიული ფაკულტეტი																	
1.																	
2.		ქართ.	240	2250	60	3	3	3		3							1-2-3-5
სამართალმცოდნეობა	სამართლის ბაკალავრი																

დებულების თანახმად მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრა 20%-ით უცხო ენებისათვის და 25%-ით სხვა დანარჩენი საგნებისათვის (იმისათვის, რომ აბიტურიენტმა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი მან სწორედ უნდა უპასუხოს დავალებათა საერთო რაოდენობის მითითებულ პროცენტს დამატებული ერთი). თქვენ შეგიძლიათ სურვილისამებრ გაზარდოთ მინიმალური ზღვარი ნებისმიერი საგნისათვის. ასეთ შემთხვევაში თქვენ ქვემოთჩამოთვლილ საგნებს უნდა მიუწეროთზღვარის ახალი მნიშვნერლობა პროგრამების მიხედვით.

პროგრამის დასახელება	ქართ. ენა და ლიტ.	ზოგადი უნარები	უცხოური ენა	მათემატიკა	ისტორია	გეოგრაფია	ლიტერატურა	ფიზიკა	ქიმია	ბიოლოგია.
	25%+1	25%+1	20%+1	25%+1	25%+1	25%+1	25%+1	25%+1	25%+1	25%+1
მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	25%+1	25%+1	20%+1	25%+1						
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი	25%+1	25%+1	20%+1	25%+1		25%+1		25%+1	25%+1	25%+1
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	25%+1	25%+1	20%+1		25%+1		25%+1			
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	25%+1	25%+1	20%+1		25%+1					
განათლების ფაკულტეტი	25%+1	25%+1	20%+1		25%+1		25%+1			
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი	25%+1	25%+1	20%+1	25%+1						
იურიდიული ფაკულტეტი	25%+1	25%+1	20%+1		25%+1					

ფიქრები განათლებაზე

შედარებითი პედაგოგიკა
როგორია საქართველოს პასუხი?

გია მურღულია
ფილოლოგიის დოქტორი, თბილისის №24 საჯარო სკოლის დირექტორი

დღეს განათლების თვალსაზრისით დაწინაურებული ქვეყნები პედაგოგებს აღარ ამზადებენ შედარებითი პედაგოგიკის საფუძვლიანი შესწავლის გარეშე.

რა არის შედარებითი პედაგოგიკა?

1817 წელს რობესპიერის გულმხურვალე მომხრემ და პესტალოცის იდეების თაყვანისმცემელმა მ.ა. ჟულიენ პარიზელმა (1775-1848) დაწერა პატარა ბროშურა – „ნარკვევი და წინასწარი შენიშვნები შედარებითი პედაგოგიკის საკვლევად“. ეს ნაშრომი კარგა ხნით დავიწყებას მიეცა და მხოლოდ 1935 წელს, შემთხვევით, აღმოაჩინეს პარიზელი ბუკინისტის ჯიხურში, რამაც ხელახლა გააღვივა ინტერესი მისი იდეების მიმართ.

ამ ბროშურაშია სწორედ პირველად გამოყენებული ორი ტერმინი - „შედარებითი აღზრდა“ და „შედარებითი პედაგოგიკა“.

ჟულიენის აზრით, ერთმანეთისთვის უნდა შეედარებინათ და სათანადოდ შეესწავლათ სხვადასხვა ქვეყნის პედაგოგიური გამოცდილება, რათა მთელი ევროპის, ხოლო შემდგომ კი, მსოფლიოს მასშტაბით შეექმნათ განათლებისა და აღზრდის ყველაზე რაციონალური სისტემა.

მან შეადგინა დიდი მოცულობის კითხვარი (250-ზე მეტი კითხვა), რომელიც სკოლის ცხოვრების სხვადასხვა ასპექტს ეხებოდა და წინადადება დააყენა, მასზე ეპასუხათ ევროპის ქვეყნების მთავრობებს, რათა შეგროვებულიყო და გაანალიზებულიყო რაოდენობრივი, ფაქტობრივი თუ ხარისხობრივი მონაცემები.

ჟულიენი ფიქრობდა, რომ პასუხები ამ კითხვებზე შესაძლებელს გახდიდა, განესაზღვრათ, რომელი ქვეყნები ლიდერობდნენ განათლების ასპარეზზე და რა განაპირობებდა მათ დაწინაურებას.

მართალია, ამ იდეებს მაშინ განხორციელება არ ეწერა, მაგრამ ჟულიენს მაინც სახელდებენ შედარებითი პედაგოგიკის მამად.

თუმცა, რა თქმა უნდა, ყველაფერი ძალიან ადრე დაიწყო.

მოკლე ისტორია

ჯერ კიდევ ჰეროდოტე ჰყვებოდა ბაბილონსა და ეგვიპტეში სწავლება-აღზრდის შესახებ. რომაელი ისტორიკოსი კორნელიუს ტაციტუსი საგანგებოდ მსჯელობდა ძველგერმანელთა აღზრდის თავისებურებებზე.

უკვე ამ დროს სარგებლის პრინციპი და მოტივი სერიოზულად მოქმედებდა – მიზნად ისახავდნენ კარგად გასცნობოდნენ მეზობელი ქვეყნების გამოცდილებას, რათა განათლების საქმე თავადაც უფრო სრულფასოვნად მოეგვარებინათ.

პლატონი მიუთითებდა იმაზე, თუ რა შეიძლებოდა გადმოეღოთ ათენელებს სპარტული აღზრდის მეთოდებიდან; ქსენოფონტემ ახალგაზრდა სპარსელი არისტოკრატების აღზრდის ხასიათი აღწერა და რეკომენდაციას იძლეოდა, ზოგიერთი არსებითი რამ ბერძენი ახალგაზრდობის აღსაზრდელადაც გამოეყენებინათ.

შუა საუკუნეებში განათლების საერთაშორისო გამოცდილების შესწავლის მიმართ ინტერესი არ იყო ძლიერი. მხოლოდ XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე განახლდა ამ მიმართულებით ფიქრი და მოქმედება.

ერების საბოლოო ფორმირება, ნაციონალური კონსოლიდაცია და ეროვნული თვითშეგნების ამაღლება, ლათინურის განდევნა ნაციონალური ენებით, ეკლესიაზე დამოკიდებულების მასშტაბის შემცირება ახალ ვითარებას ქმნის განათლების სფეროში – ევროპული პედაგოგიური აზრი ძალუმ განვითარებას იწყებს.

ბელ-ლანკასტერის სისტემა, პესტალოცის პედაგოგიკა, რუსოს „თავისუფალი აღზრდის“ პრინციპები და კანტის ზნეობრივი აღზრდის პოსტულატები თავისი მნიშვნელობით ცალკეული ქვეყნების ფარგლებს სცილდებოდა და ზოგადევროპულ რეზონანსს იძენდა.

ამ დროს ახალი ძალით გაცნობიერდა სკოლის მნიშვნელობა დიდი პოლიტიკისათვის.

ინგლისელი მხედართმთავრის ჰერცოგ ველინგტონელისა („ვატერლოოს ბრძოლა იტონის სპორტულ მოედნებზე იქნა მოგებული“) და ბისმარკის („გამარჯვება პრუსიელმა სკოლის მასწავლებელმა მოიპოვა“) ცნობილმა სიტყვებმა საზოგადოებას კიდევ ერთხელ საგანგებოდ ამცნო განათლების სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ.

უკვე ამ დროისთვის სხვადასხვა ქვეყანაში ალაპარაკდნენ სასკოლო რეფორმის შესახებ და ყველგან რეფორმატორების წინაშე ერთი და იგივე კითხვები დგებოდა:

სასწავლო დაწესებულებათა რა ტიპები უნდა არსებობდეს განათლების ნაციონალურ სისტემაში? არსებითად ვინ უნდა აკონტროლებდეს ამ დაწესებულებებს – სახელმწიფო ორგანოები, ეკლესია თუ მოსწავლეთა მშობლები? როგორ უნდა დაფინანსდეს განათლების სისტემა და როგორია ამ შემთხვევაში ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის წვლილი? როგორ უნდა მოამზადონ მასწავლებლები სხვადასხვა ტიპის სასწავლო დაწესებულებებისათვის?

ბუნებრივია, დიდ ყურადღებას იპყრობდა საზღვარგარეთის გამოცდილება. ამ თვალსაზრისით, შევეხოთ რამდენიმე ქვეყანას.

საფრანგეთი

თავიდანვე უნდა გამოვყოთ ცნობილი ფილოსოფოსი, სორბონას პროფესორი, განათლების უმაღლესი საბჭოს წევრი ვ. კუზენი (1792-1867 წწ.). მთავრობის დავალებით, XIX საუკუნის 30-იან წლებში, მან რამდენჯერმე მოინახულა პრუსია იქ არსებული განათლების სისტემის შესასწავლად. ამის შემდეგ მომზადდა რამდენიმე მოხსენება პრუსიული სასწავლო დაწესებულებების, მათი მუშაობის შინაარსისა და მეთოდების შესახებ. ამ მოხსენებათა შედეგებს დიდად ითვალისწინებდნენ სახელმწიფო ხელისუფალნი სასკოლო რეფორმების მომზადებისას.

XIX საუკუნის 90-იან წლებში ე. დრეიფუს-ბრისაკი აქვეყნებს სამტომეულს „ახალი აღზრდა: შედარებით პედაგოგიკური შესწავლა“.

1865 წელს განათლების მოღვაწე ჟ.მ. ბოდუენი ადგენს „მოხსენებას დაწყებითი განათლების შესახებ ბელგიაში, გერმანიასა და შვეიცარიაში“.

XIX საუკუნის დასაწყისში გამოიცა ვ. ფრიდელის ორი წიგნი: „მასწავლებელთა მომზადება საზღვარგარეთის ქვეყნებში“ (1903 წ.) და „პედაგოგიკა საზღვარგარეთ“ (1910 წ.). ამ ბოლო ნაშრომში აღწერილია სავალდებულო სწავლების ორგანიზება 9 ქვეყანაში. აქ, დასავლეთის ქვეყნებთან (ინგლისი, გერმანია, იტალია, აშშ) ერთად, მოცემულია აღმოსავლეთის ქვეყნების (იაპონია, ეგვიპტე) გამოცდილებაც.

გერმანია

XIX საუკუნეში საზღვარგარეთის პედაგოგიური პრობლემატიკის ყველაზე დიდი მკვლევარი იყო ფ. ტირში (1774-1860 წ.წ.). მან დაწერა ფუნდამენტური შრომა, სამტომეული „საზოგადოებრივი განათლების თანამედროვე მდგომარეობა დასავლეთის ქვეყნებში, ჰოლანდიაში, საფრანგეთსა და ბელგიაში“ (1838 წ.)

აქ ძალიან ნათლად წარმოჩინდა სწორედ შედარების ელემენტი. ტირში ასკვნიდა, რომ მიუხედავად გარკვეული სპეციფიკური ნაციონალური განსხვავებისა, საფრანგეთის, გერმანიისა და, ვთქვათ, ინგლისის სკოლებს „საერთო სულისკვეთებაც“ ახასიათებს, რაც ევროპული კულტურისა და ქრისტიანული ცივილიზაციის პრინციპებს ეფუძნება.

გამოსაყოფია, აგრეთვე, ლ. შტეინის „დაწყებითი და პროფესიული განათლება გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში“ (1868 წ.) და ა. ბაუმაისტერის ნაშრომი „უმაღლესი განათლების ორგანიზება ევროპის ქვეყნებსა და ჩრდილოეთ ამერიკაში“ (1897 წ.).

აშშ

საზღვარგარეთის გამოცდილების შესწავლასა და განათლების განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ჰ. მანმა (1796-1859 წ.წ.) და ჰ. ბერნარდმა (1811-1900 წ.წ.)

ჰ. მანი გამოვიდა აშშ-ში სავალდებულო უფასო დაწყებითი განათლებისა და მისი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების ინიციატივით.

ამ თვალსაზრისით, ის ევროპული ქვეყნების გამოცდილებას ეყრდნობოდა. მანი მასაჩუსეტსის შტატის განათლების საქმეთა საბჭოს ხელმძღვანელობდა და ნიშანდობლივია, რომ აშშ-ში პირველად სწორედ ამ შტატში მიიღეს კანონი სავალდებულო სწავლების შესახებ.

1867 წელს აშშ-ში შეიქმნა განათლების ფედერალური ბიურო, რომელსაც სათავეში ბერნარდი ჩაუდგა. ის აქტიურად უწყობდა ხელს ამერიკელ პედაგოგებსა და განათლების მუშაკებს, რათა ისინი ევროპაში ჩასულიყვნენ და იქაური მოწინავე გამოცდილება შეესწავლათ.

1898-99 წლებში ჯ. რასელმა კოლუმბიის უნივერსიტეტის პედაგოგიური კოლეჯის სტუდენტებს პირველი კურსი წაუკითხა შედარებით პედაგოგიკაში. ამას მრავალი საინტერესო ნაშრომის გამოქვეყნება მოჰყვა.

1910 წელს გამოვიდა ა. ფლექსნერის წიგნი „უნივერსიტეტები ამერიკაში, ინგლისსა და გერმანიაში“, ხოლო 1911 წელს დღის სინათლე იხილა ჟ. ბრაუნის ნაშრომმა „საშუალო სკოლის მასწავლებელთა მომზადება გერმანიასა და აშშ-ში“.

შედარებით პედაგოგიკას უკვე პირველხარისხოვანი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანების გადასაწყვეტადაც იყენებენ. საგულისხმოა, რომ პირველ მსოფლიო ომში აშშ-ს ჩართვის წინ, 1916 წელს, ქვეყნდება ჟ.ფ. სკოტის „რისი გადაღება შეუძლია ამერიკას საფრანგეთიდან თუ გერმანიიდან პატრიოტული აღზრდის სფეროში“.

ინგლისი

შედარებითი პედაგოგიკის ფუძემდებლებად აქ ითვლებიან მ. არნოლდი (1822-1888 წ.წ.) და მ. სედლერი (1861-1943 წ.წ.).

არნოლდი საგანგებო ყურადღებას უთმობდა კლასიკური, საბუნებისმეტყველო და პრაქტიკული განათლების შეფარდების პრობლემას, აგრეთვე, საშუალო და უმაღლესი სკოლების ურთიერთკავშირს. უპირატესად სწორედ ამ ჭრილში ადარებდა ის განათლების სამამულო და უცხოურ სისტემებს.

თავის პედაგოგიურ ნაშრომებში – „სახალხო განათლება საფრანგეთში“ (1861 წ.), „უმაღლესი განათლება გერმანიაში“ (1874 წ.) – არნოლდის მიზანი არ იყო მხოლოდ ფაქტობრივი მონაცემების სისტემატიზება და კომენტირება. მან გამოიკვლია და გარკვეული იერარქიული სისტემით წარმოაჩინა ის ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავდა განათლების სისტემის განვითარებას როგორც ინგლისში, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში.

სედლერმა კიდევ უფრო განავრცო და გააღრმავა არნოლდის მიერ დაწყებული საქმე. მისი დაკვირვებით, ამა თუ იმ ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის არსებისა და თავისებურებების მართებულად დასახასიათებლად აუცილებელია გავცდეთ საკუთრივ პედაგოგიკის ჩარჩოებსა და ფარგლებს. აი, რას წერდა სედლერი: „ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ სკოლის განვითარების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტორები ისინია, რომლებიც სკოლის გარეთ არის“. ამ ფაქტორებში ავტორი ეკონომიკას, სახელმწიფო სისტემას, ეკლესიასა და ოჯახს გულისხმობდა.

სწორედ ამ კონტექსტში წარმოადგინა სედლერმა მსგავსება და განსხვავება ინგლისის გრამატიკულ სკოლებსა და ფრანგულ ლიცეუმებსა და გერმანულ გიმნაზიებს შორის.

ამ ავტორის უმნიშვნელოვანესი ნაშრომია „რა პრაქტიკული ღირებულება შეიძლება ჰქონდეს განათლების საზღვარგარეთული სკოლების გაცნობას“ (1900 წ.). სედლერის ინიციატივით, 1894 წელს, ლონდონში დაფუძნდა სპეციალური დაწესებულება, რომლის ამოცანებიც იყო ინფორმაციის შეგროვება ინგლისსა თუ საზღვარგარეთის სკოლების განვითარების შესახებ, უახლესი წიგნების, სტატიების, პედაგოგიური დოკუმენტაციის კატალოგთა შედგენა და შესაბამისი ანალიტიკური მოხსენებების მომზადება.

ამ დოკუმენტებმა და მასალებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ინგლისის პარლამენტის მიერ 1902 წელს მიღებული აქტის შინაარსზე, რამაც რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში განსაზღვრა საშუალო განათლების სტრუქტურა დიდ ბრიტანეთში.

რუსეთი

ამ ქვეყანაში განათლების საზღვარგარეთული სისტემების მიზანმიმართულ შესწავლას სათავე დაუდო კ. უშინსკიმ.

ფრანგული სისტემის ანალიზისას ის აღნიშნავდა უმკაცრეს ცენტრალიზაციასა და ადმინისტრაციულ ერთსახოვნებას. ინგლისური განათლების სისტემის დახასიათებისას კი მიუთითებდა, რომ აქ საგანგებო მნიშვნელობა ექცეოდა ხასიათის ჩამოყალიბების პრობლემას: „ინგლისურ აღზრდაში მთავარია ხასიათი, საკუთარი თავის ფლობის სურვილი და უნარი, რაც ასე გამოარჩევს ყოველ ჭეშმარიტ ჯენტლმენს. ხასიათის ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას ინგლისურ აღზრდაში მთავარი ყურადღება ეთმობა. ინგლისის ძველი უნივერსიტეტები, ისევე როგორც მისი სახელგანთქმული სკოლები, უფრო აღმზრდელობითი დაწესებულებებია, ვიდრე სასწავლო“.

უშინსკი ყურადღებას აქცევდა, აგრეთვე, ინგლისის განათლების სისტემის სოციალურ ორიენტაციას, რასაც, ქრისტიანული გულმოწყალებისა და შებრალების გარდა, საზოგადოების კეთილგონიერებასა და ფინანსურ გათვლასთანაც აკავშირებდა: „...ციხეში შენახვა ღარიბ-ღატაკისა, რომელიც იქ ყველაზე ხშირად სწორედ უვიცობისა და უმეცრების გამო ხვდება, უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე მისი აღზრდა“.

უშინსკის აზრით, საზღვარგარეთული გამოცდილების გადმოღებას განსხვავებულად უნდა შევხედოთ იმის მიხედვით, თუ რაზეა ლაპარაკი: მეცნიერებაზე თუ აღზრდის სისტემებზე.

მეცნიერება ნაციონალობის მიხედვით არ იყოფა, ხოლო რაც შეეხება აღზრდას: „ყველა ხალხისთვის საერთო აღზრდის სისტემა პრაქტიკულად კი არა, თეორიულადაც არ არსებობს.... ყოველ ხალხს აღზრდის საკუთარი ეროვნული სისტემა აქვს, ამიტომ მისი სესხება ერთი ხალხის მიერ მეორისაგან შეუძლებელია“.

აქ ერთგვარად უკანა პლანზეა გადაწეული ის, რომ აუცილებლად არსებობს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები და იდეალები, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით ახასიათებს ყველა ხალხს და მეტ-ნაკლებად აისახება აღზრდის მიზნებში, შინაარსსა თუ მეთოდებში.

XX საუკუნის დასაწყისში ჩნდება ახალი მონოგრაფიული ნაშრომები. უნდა გამოვყოთ ისეთი ავტორიტეტული ავტორი, როგორიცაა პ. მიჟუევი, მისი ძირითადი ნაშრომებია: „განათლება საფრანგეთში“ (1900 წ.), „სკოლა და საზოგადოება ამერიკაში“ (1902 წ.), „თანამედროვე სკოლა ევროპასა და ამერიკაში“ (1912 წ.).

მიჟუევი მიუახლოვდა იმ დროისათვის ისეთი ახალი პრობლემის გაგებას, როგორიცაა განათლების ეკონომიკური ეფექტიანობა.

საყურადღებოა, აგრეთვე, პ. კაპნისის ნაშრომი „კლასიციზმი, როგორც საგიმნაზიო განათლების აუცილებელი საფუძველი. გერმანიაში საშუალო განათლების განვითარების ისტორიული ნარკვევი“ (1900 წ.).

შედარებითი პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბება

შედარებითი პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების დამოუკიდებელი დარგის, ჩამოყალიბება XX საუკუნის 20-იანი წლებიდან იწყება. ამ დროიდან იქმნება საერთაშორისო და ნაციონალური დაწესებულებები, რომელთა უმთავრესი ფუნქციაა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის განათლების თეორიისა და პრაქტიკის განვითარების ამსახველი ფაქტებისა თუ მოვლენების შეგროვება, სისტემატიზება და განზოგადება.

1919 წელი – ნიუ-იორკში ყალიბდება განათლების საერთაშორისო ასოციაცია;

1923 წელი – კოლუმბიის უნივერსიტეტის პედაგოგიურ კოლეჯთან ფუძნდება საერთაშორისო ინსტიტუტი;

1925 წელი – პარიზში იხსნება ინტელექტუალური თანამშრომლობის საერთაშორისო ინსტიტუტი; ხოლო აღზრდის ცენტრალურ ინსტიტუტთან (გერმანია) – საზღვარგარეთის პედაგოგიკის განყოფილება.

ამგვარ დაწესებულებათა შორის უპირატესი მნიშვნელობა უცილობლად ჰქონდა ცნობილი შვეიცარიელი პედაგოგის ე. კლაპარედის მიერ 1925 წელს ჟენევაში დაარსებულ განათლების საერთაშორისო ბიუროს, რომელიც 1929 წლიდან გავლენიან საერთაშორისო ორგანიზაციად იქცა.

ამ ორგანიზაციას ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხელმძღვანელობდა გამოჩენილი ფსიქოლოგი ჟ. პიაჟე.

განათლების საერთაშორისო ბიუროს მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საგამომცემლო საქმიანობას, მათ შორის პერიოდიკის გამოშვებას – 1927 წლიდან გამოდიოდა ყოველკვარტალური „პედაგოგიკური დოკუმენტაცია და ინფორმაცია“ და „გამოკვლევები და მიმოხილვანი შედარებით პედაგოგიკაში“, ხოლო 1933 წლიდან - „განათლების საერთაშორისო ყოველწლიური“.

1946 წელს შეიქმნა იუნესკო, რომლისთვისაც განათლების პრობლემები ყოველთვის პრიორიტეტული იყო. ამ ორგანიზაციასთან მჭიდროდ თანამშრომლობდა განათლების საერთაშორისო ბიურო, რომელიც 1969 წლიდან ოფიციალურად გახდა იუნესკოს შემადგენელი ნაწილი. XX საუკუნის 50-იანი წლებიდან რიგ ქვეყნებში ფუნქციონირებდა შედარებითი პედაგოგიკის მსხვილი კვლევითი ცენტრები:

1. საერთაშორისო პედაგოგიური კვლევების ინსტიტუტი (ფრანკფურტი მაინზე, გერმანია);
2. პედაგოგიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრი (სევრი, საფრანგეთი);
3. შედარებითი პედაგოგიკის ინსტიტუტი (ზალცბურგი, ავსტრია).

აშშ-ს, ინგლისის, გერმანიის, იაპონიის უნივერსიტეტებში იხსნება შედარებითი პედაგოგიკის კათედრები.

ფიქრები განათლებაზე

დაარსდა შედარებითი პედაგოგიკის ნაციონალური საზოგადოებები, რომლებიც ერთი ქვეყნის მასშტაბით აერთიანებს პრაქტიკოს პედაგოგებსა და მთელ მსოფლიოში განათლების განვითარების პრობლემებით დაინტერესებულ პირებს.

1961 წელს შეიქმნა შედარებითი პედაგოგიკის ევროპული საზოგადოება – უმსხვილესი რეგიონული გაერთიანება.

შედარებითი პედაგოგიკის საზოგადოების მსოფლიო საბჭო რეგულარულად ატარებს წარმომადგენლობით საერთაშორისო კონგრესებს.

შედარებითი პედაგოგიკა, ანუ კომპარატივისტიკა, განსაკუთრებით განვითარდა XX საუკუნის მეორე ნახევარში და დღემდე პედაგოგიური აზრის საზომად ითვლება მთელ მსოფლიოში. შორს წაგვიყვანს იმ ავტორთა დასახელება, რომლებმაც ამ დარგის თანამედროვე სახე და დონე შექმნეს.

ჩვენ?

შედარებითი პედაგოგიკის განვითარების დონე დიდწილად განსაზღვრავს განათლების პოლიტიკის ჩამოყალიბებას ამა თუ იმ ქვეყანაში; მეტიც, პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ შედარებითი პედაგოგიკა ამ პოლიტიკის არსებითი საფუძველია!

ეს ყველგან ასეა, მაგრამ ჩვენ, ამ შემთხვევაშიც, გამორჩეული ქვეყანა ვართ.

საქართველოში შედარებითი პედაგოგიკა, როგორც ასეთი, ფაქტობრივად, არ არსებობს. არ არის შესაბამისი კათედრები პედაგოგიური პროფილის მქონე უნივერსიტეტებში, არ არის ლიტერატურა, საშუალო და უმაღლესი სკოლები არ იცნობენ და არ იყენებენ კომპარატივისტების მიერ მომზადებულ მასალასა და შესაბამის მეთოდიკასა თუ ტექნოლოგიებს.

შესაძლოა, არსებობს ცალკეული გამონაკლისები, მაგრამ ეს საერთო, მეტად სამწუხარო, სურათს ვერ ცვლის.

ქართული პედაგოგიური აზრი ძალიან ღარიბად და უმწეოდ გამოჩნდება, თუკი შედარებითი პედაგოგიკის მიღწევათა ათვისებისა და პრობლემატიკის შესწავლის მიმართულებით ჩვენი ძალისხმევა არ გავაათკეცეთ. დრო ბევრი დავკარგეთ და ახლა სწრაფად და მიზანმიმართულად უნდა ვიმოქმედოთ, რათა დაკარგული შედარებით ოპერატიულად ავინაზღაუროთ.

ვფიქრობ, პრობლემა რეალური და მეტად აქტუალურია.

ჩვენ კვლავ განვაგრძობთ ამ თემაზე მკითხველთან საუბარს, მაგრამ, ამასთან ერთად (და გაცილებით მეტადაც!) პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმაა საჭირო.

ჩვენი უნივერსიტეტების მესვეურებს მართებთ, კარგად გააცნობიერონ, რომ დღეს სრულფასოვანი პედაგოგის (რომლის გარეშეც განათლების მაღალი ხარისხი მიუწვდომელია), მით უმეტეს – განათლების მენეჯერისა და ხელმძღვანელის მომზადება აბსოლუტურად წარმოუდგენელი და უშედეგოა შედარებითი პედაგოგიკის სოლიდური კურსის სწავლების გარეშე.

ეს საქმე ვერ გადაწყდება, თუკი არ დაარსდება შესაბამისი კათედრები.

ასევე, სასურველად და აუცილებლად მეჩვენება შედარებითი პედაგოგიკის ეროვნული საზოგადოების დაფუძნება, რამაც სათავე უნდა დაუდოს მიზანმიმართულ და მასშტაბურ თანამშრომლობას კომპარატივისტიკის საერთაშორისო, რეგიონულ თუ ნაციონალურ ცენტრებთან.

დროის გამოწვევა არსებობს.

როგორი იქნება საქართველოს პასუხი?

(ავტორი ეყრდნობა ბ. ვულფსონისა და ზ. მალკოვას წიგნს „შედარებითი პედაგოგიკა“, მოსკოვი-ვორონეჟი, 1996 წ., რუსულ ენაზე.)

ინფორმაცია

„წითელი თებერვალი“

თბილისის 144-ე საჯარო სკოლაში ჩატარდა ოკუპაციის კვირეული შიდა სასკოლო პროექტის ფარგლებში „წითელი თებერვალი“ (დირექტორი – **მანანა კიკაჩეიშვილი**).

ისტორიისა და სამოქალაქო განათლების პედაგოგებმა: **თეა ქორქაშვილმა, ნინო მელქაძემ, დალი ღომთათიძემ, ლატავრა პავლაძემ** მიმოხილვითი გაკვეთილები და მოსწავლეთა კონფერენციები ჩაატარეს თემაზე: „პარალელები 1921 წელსა და თანამედროვე ოკუპაციას შორის“. მოეწყო ექსკურსია ოკუპაციის მუზეუმში. მოსწავლეებმა უფრო გაიღრმავეს ცოდნა და ემოციურად განიცადეს საზარელი ისტორიული ფაქტების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა.

სამოქალაქო თავდაცვის და უსაფრთხოების პედაგოგ **მადონა კიკაჩეიშვილისა** და მშობლის **ჯემალ კოლაშვილის** ინიციატივით, VIII-XI კლასელები იმყოფებოდნენ შსს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტში და გაიღრმავეს თეორიული ცოდნა. სკოლის უფროსკლასელებმა ბავშვთა სახლ „სათნოების“ თანატოლები მიიწვიეს თეატრში ათონელზე პატრიოტულ სპექტაკლზე „ირმის უკანასკნელი ბღავილი“; ხელოვნების პედაგოგებმა: **ფიქრია შათირიშვილმა** და **სოფიო ქუმსიაშვილმა** მოაწყვეს უფროსკლასელთა ნახატების გამოფენა „ჩვენი თვალით დანახული რუსული აგრესია“, ასევე, დაეხმარნენ ყველა კლასს თემატური გაზეთების მომზადებასა და გამოფენის მოწყობაში, შთამბეჭდავად გააფორმეს და მოაწყვეს სააქტო დარბაზი ღონისძიებისთვის.

დაბოლოს, 25 თებერვალს ჩატარდა შემაჯამებელი ღონისძიება „წითელი თებერვალი“, რომელიც მოამზადეს პედაგოგმა **თეა ქორქაშვილმა** და სხვადასხვა კლასის მოსწავლეებმა. ღონისძიებაში გამოყენებულ იქნა: 1918-21 წლების პოლიტიკური მიმოხილვა, დამოუკიდებლობის აღდგენის მისწარაფებისა და ბრძოლის გრძელი გზის, XXI საუკუნის ოკუპაციის მაგალითები (**გიორგი ფახურიძე** – X^{ბ} კლ., **ზურა ლეშკაშელი, ლიკა მაისურაძე** – X^{ა} კლ.); კოჯორთან დაღუპული მარო მაყაშვილის ბიოგრაფიული ცნობები და მისი წერილები, რომლებიც უშუალოდ ბრძოლის ველიდან იყო გამოგზავნილი (**სალომე ბოჩიკაშვილი** – X^{ა} კლ.); ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და მისი შეფიცულთა რაზმის შესახებ მოპოვებულ ისტორიულ-ლიტერატურულ მასალაზე და სიმონ ბაგრატიონ მუხრანელის უკანასკნელი სიტყვების გამოყენებით წარმოდგენილ იქნა მათი დახვრეტის მიზანსცენა (**ნიკა ჩოქური** – XI კლ., **ამირან ბუიძე** – X^{ბ} კლ., **დავით ფანცულაია, რობო ყელბერაშვილი, გიორგი ონიანი, ირაკლი გოგბერაშვილი** – IX^{ა} კლ.). ღონისძიებაზე გაჟღერდა კათოლიკოს პატრიარქის მდაბალი ამბროსი ხელაიას მიერ გენუის კონფერენციაზე წარმოთქმული სიტყვა. ემოციურად იქნა წაკითხული ლექსები: „მარო მაყაშვილის დედის დატირება“ (**მარი სონღულაშვილი** – XI კლ.), კოლაუ ნადირაძის „თოვდა და თბილისს ებურა თალხი“ (**ზურა ლეშკაშელი** – X^{ა} კლ.), მიხა ხელაშვილი „ქაქუცა ჩოლოყაშვილს“ (**გიორგი ფახურიძე** – X^{ბ} კლ.), საფინალო ლექსი – „ნუ გაიგლიჯე გული, მამულო!“ (**გურამ ბუბუტეიშვილი** – IV^{ა} კლ.). ამაღელვებელი და შთამბეჭდავი იყო ნიკოლ შოუს სიმღერის „ჩემი საქართველო“ ფონზე დადგმული საფინალო ცეკვა (**საბა თოდუა, გიორგი დანელია, სოფო წვიმიტიძე, მარი ასლამაზიშვილი** – VII^{ა} კლ.)

მოსწავლეებმა გამოავლინეს არა მარტო სამსახიობო ნიჭი, არამედ მიღებული ინფორმაციის სწორად დანახვის, შესწავლისა და გადმოცემის უნარი.

ღონისძიების მიმდინარეობისას, IT მენეჯერის – **მარინა ხუბუას** დახმარებით, ეკრანზე გადიოდა 1918-21 წლების ამსახველი დოკუმენტური კადრები. ღონისძიების ოპერატორი იყო პედაგოგი **ნატო მაისურაძე**.

შემაჯამებელ ღონისძიებას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები, რომლებიც ემოციებს ვერ ფარავდნენ. 65-ე საჯარო სკოლის დირექტორმა **ქეთევან რეხვიაშვილმა** სიტყვით მიმართა მონაწილეებს, ბედნიერი თაობა უწოდა მათ, რადგან უფროსი თაობისგან განსხვავებით, სიმართლე იციან 25 თებერვლის შესახებ და ამ სიმართლის, ტკივილის ასე გადმოცემის უფლება აქვთ და დასძინა, რომ უფროს თაობას გვაზეიმებდნენ კიდეც ამ საზარელ დღესო...

დირექტორმა **მანანა კიკაჩეიშვილმა** შეახსენა მოსწავლეებს, რომ სწორედ ამ დღეს, 90 წლის წინ, სწორედ ამ საათებში, მათი თანატოლები, იუნკერები სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ თბილისის მისადგომებთან. დასძინა, რომ ამაყია მათი შემხედვარე, რადგან მართალი ემოცია მოდიოდა სცენიდან, სჯერა და სწამს, რომ ეს თაობა უყოყმანოდ იბრძოლებს და იშრომებს სამშობლოს საკეთილდღეოდ.

შორენა ზარდიაშვილი
დირექტორის მოადგილე

საინტერესო პროექტი

ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არლის საჯარო სკოლაში (დირექტორი **– მარო ჩხიტუნიძე**) განხორციელდა დავითის ხსენების დღისადმი მიძღვნილი პროექტი „დავით აღმაშენებელი“ IV კლასის ხელმძღვანელის **ინგა კაჭკაჭაშვილის** მიერ, რომელიც მრავალი საინტერესო კვირეულის და პროექტის ავტორია.

პრობლემა, რის გამოც პროექტი განხორციელდა, იყო დავით IV აღმაშენებელზე მწირი ინფორმაციის ქონა, პროექტის მიზანი კი – თანამშრომლობის გზით მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლება, გამოცდილების გაზიარება და თანამშრომლობის კულტურის სრულყოფა.

პროექტის ფარგლებში, გამოვლინდა ის საკვანძო საკითხები, რომლებზეც სურდათ მოსწავლეებს და მასწავლებლებს ინფორმაციის მიღება და დაკვირვება. ჩატარდა საჩვენებელი სამოდელო გაკვეთილი ქართულ ენაში და ღონისძიება „ჩემი სამშობლო საქართველოა!“. მოსწავლეთა მიერ გამოშვებულ იქნა სპეციალური კედლის გაზეთი, დამზადდა მოსაწვევები, მოწვეული იყვნენ მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები.

„არაჩვეულებრივი გრძნობაა, როდესაც გამოცდილებას უზიარებ სხვას და გიწონებენ, გეთანხმებიან. კოლეგებთან კონტაქტი დადებითად მოქმედებს პედაგოგის პროფესიულ განვითარებაზე და მისი მუშაობის აუცილებელი კომპონენტია. გაჩნდა მოტივაცია საუკეთესო მიღწევებით თავმოწონებისა. პროექტის განხორციელებამ ხელი შეუწყო სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომების დანერგვას, მოტივაციის ამაღლებას. შეიკრა კვანძი: კვლევა-ძიება, ინფორმაციის მოპოვება, მოტივირებული გაკვეთილი, საინტერესო ღონისძიება – აი, პროექტის რეალური შედეგი“ – აღნიშნა პროექტის ავტორმა ინგა კაჭკაჭაშვილმა.

„მუდამ შემოქმედი ინგა კაჭკაჭაშვილის მორიგი საინტერესო პროექტი ვიხილეთ. თითოეული მოსწავლე აქტიურად იყო ჩართული გაკვეთილის მსვლელობაში. ისინი ხომ, ფაქტობრივად, თვითონ ატარებდნენ გაკვეთილს, მასწავლებელი კი დირიჟორის როლს ასრულებდა. მოსწავლეებმა აჩვენეს ცოდნის საკმაოდ მაღალი დონე. მე, როგორც ისტორიკოსი და სკოლის დირექტორი, ვამაყობ, რომ ბავშვებმა ამდენი ინფორმაცია მოიძიეს და მიიღეს ამ პროექტის ფარგლებში. არ შემიძლია არ აღვნიშნო მათი მსახიობური ნიჭი, რომელიც გამოავლინეს ღონისძიებაზე. მეფეების კოსტიუმებში გამოწყობილმა მოსწავლეებმა ჩვენ თვალწინ გააცოცხლეს დავითის, თამარის, გიორგის, ქეთევანის, არჩილის და საქართველოს თითქმის ყველა მეფის ეპოქა, რაც, ვფიქრობ, მეტად მნიშვნელოვანი იყო“ – აღნიშნა მარო ჩხიტუნიძემ.

პროექტის წარმატებაზე ისაუბრა სკოლის დირექტორის მოადგილემ სასწავლო-ამღზრდელობითი მუშაობის დარგში **ვაჟა თათეშვილმა**, რომელმაც აღნიშნა, რომ პროექტი აუცილებლად გამოიღებს სასურველ შედეგს, რადგან გაკვეთილი იყო მართლაც გამორჩეული, განსაკუთრებული, რომელიც ყოველმხრივ პასუხობდა თანამედროვე გაკვეთილის მოთხოვნებს, მხატრული ნაწილი კი ამ შესანიშნავი გაკვეთილის გვირგვინს წარმოადგენდა.

„ამ პროექტით დავინახეთ, რომ ერთია იყო პედაგოგი და მეორე – შემოქმედი. ეს იყო მაღალ დონეზე განხორციელებული პროექტი, სადაც მასწავლებელი და მოსწავლე ბუნებრივად იყო შერწყმული ერთმანეთთან“ – ასე შეაფასა პროექტი სასწავლო ნაწილის გამგემ დაწყებით კლასებთან მუშაობის დარგში **ნარგიზა კაჭკაჭაშვილმა**.

ეჭვი არაა, პროექტმა ჩვენს პატარებს გაულვიძა სამშობლოსადმი ისეთივე ძლიერი სიყვარული, როგორიც მისადმი დავით აღმაშენებელს ჰქონდა. მასწავლებლებს კი მიეცემათ შესაძლებლობა, გაკვეთილზე მიღებული ზოგიერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენოს მსგავსი ხასიათის პროექტების განხორციელებისას.

პროექტის კულმინაცია იყო ჩვენ წინაშე გაცოცხლებული და ამღერებული ყველასათვის საყვარელი ისტორიული პირები, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მაყურებლებზე. პროექტი ქალბატონმა ინგამ დაასრულა დავით აღმაშენებლის თხოვნით: „და ნუ ოდეს დამივიწყებთ დავითს!“

ამ პროექტმა ნათლად დაგვანახა, რომ არლის საჯარო სკოლის მეოთხეკლასელები მართლაც არასოდეს დაივიწყებენ საქართველოს მეფეთა მეფე დავით IV აღმაშენებელს.

ნონა ჩილინგარაშვილი
არლის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების კათედრის გამგე

გაზეთის ხელმომწერთა საყურადღებოდ

რედაქცია იწყებს აქციას

„ახალი განათლების“ წიგნის თარო

სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შესავსებად გთავაზობთ ხელმოწერებს ექსკლუზიურ ფასად!

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“
20-ტომეული, ერთი ტომი – 12 ლარი.

საყმაწვილო ენციკლოპედია – „რა არის რა“
50-ტომეული, ერთი ტომი – 11 ლარი.

შესაძლებელია ერთდროულად გამოიწეროთ რამდენიმე ტომი ორივე სერიიდან. უკვე გამოსულია „მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების“ 9 ტომი, საყმაწვილო ენციკლოპედიის „რა არის რა“ – 27 ტომი.

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების სერიის პირველი ტომის (ვიქტორ ჰიუგო – „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“) და საყმაწვილო ენციკლოპედიის – „რა არის რა“ პირველი ტომის (მსოფლიოს შვიდი საოცრება) ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ მიმდინარე წლის 5 მარტამდე, რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22, ა/ა GE93LB0113314052305000

მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735
ს/ს „ბაზისბანკი“, ა/ა GE46BS0000000030236563, ბ/კ CBASGE22

მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735
ს/ს „საქართველოს ბანკი“, ბ/კ BAGAGE22, ა/ა 123631000

გადმორიცხვისას აუცილებლად მიუთითეთ ქალაქი, რაიონი, სოფელი, სკოლა, სახელი და გვარი.

შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერებიც!

მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
95 80 23; 890 95 80 23; 877 13 22 83.



ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი ბ/კ BAGAGE22, ს/კ 202058735, ა/ა 123631000

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.